CIAN MAGENTA YALLOW BLACK


# ალია

50 თეთრი

გამოდის:

ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

N59 (3375) 27-31 მაისი 2016 წ

PRESS

ფასი 50 თეთრი

ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან


## რისთვის დასჭირდა ხელისუფლებას 26 მაისს ამერიკელ-ინგლისელი სამხედროების და მათი ტექნიკის დემონსტრირება?



7

## რის მიღწევას შეეცდებიან „ნაციონალები“ პარლამენტისთვის გამოცხადებული ბოიკოტით?

3

## სოსო ჯაჭვლიანი: „ახია „ქართულ ოცნებაზე“, რომ აქამდე არ დავსაჯეთ ესენი... ახია კი არა, უარესის ღირსები ვართ...“

რა განუცხადა ჯაჭვლიანმა „ალიას“ „ქართული ოცნების“ დატოვებაზე

5

## რა ოქმი გამოაქვეყნა საპატრიარქოს წმინდა სინოდმა...

და რა უვიცობაში ამხილეს პრეზიდენტი და პრემიერი 26 მაისთან დაკავშირებით?

9

## რატომ ჩაიჭრა საატესტატო გამოცდებში ათასობით მოსწავლე და რა არის გამოსავალი?

8

## ძებნილმა დავით კეზერაშვილმა საქართველოში სასამართლო პროცესი მოიგო



როგორ უშლის პარლამენტი ხელს სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრებას

6

## ანეკდოტები მიხეილ სააკაშვილზე

11

## რა გველის მომავალ კვირაში?

13

## ესაა პიკასოს ბიჭი?! ასე მუშაობს სუსი?!

გიგა ოთხოზორიას მკვლელის დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა გააკეთა. ვახტანგ გომელაურის განცხადებით, არსებობს ინფორმაცია, რომ რაშიდ კანჯიოღლი აფხაზეთის დე ფაქტო სამართალდამცავი ორგანოების მიერ არის დაკავებული, თუმცა გომელაური დარწმუნებით ვერ ამბობს, რამდენად ზუსტია ეს ინფორმაცია:

– ვერ ვიტყვით, რომ ასეა ზუსტად, მაგრამ ჩვენ რაც ინფორმაცია

გვაქვს, ეს ადამიანი არის დაკავებული განზრახ მკვლელობის მუხლით, რამდენს მიუსჯიან, ამას სასამართლო და გამოძიება გადაწყვეტს, - განაცხადა გომელაურმა.

სუს-ის ხელმძღვანელის თქმით, დეტალებზე ვერ ისაუბრებს, თუმცა არსებობს გარკვეული მოლაპარაკებები აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებთან, მათ შორის საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მხრიდანაც:

– ამაზე გახსნილად ვერ ვისაუბრებთ, იყო მოლაპარაკებები. ზაქარეიშვილის მხრიდანაც იყო საუბრები, - აცხადებს გომელაური.

ამასობაში, გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი რაშიდ კანჯიოღლი დაკავებულია, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პროკურატურა უარყოფს. როგორც დე ფაქტო უწყებაში აცხადებენ, ამ დროისთვის კანჯიოღლის შეჩერებული აქვს უფლებამოსილება და წარმოებს სამსახურეობრივი მოკვლევა. ამასთანავე, დე ფაქტო პროკურატურა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სოფელ ხურჩაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

როგორც დე ფაქტო პროკურატურის წამორმადგენლებმა განაცხადეს, დანაშაული საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა და გამოძიების მასალები და ნივთმტკიცებებიც ქართულ მხარეს აქვს:

– დანაშაული მოხდა საზღვრის ქართულ მხარეს - მათ აქვთ ვიდეოჩანაწერი, ტყვიები, ცხედარი და ა.შ. აფხაზეთის მხარეს არანაირი ნივთიერი მტკიცებულება არ აქვს, - ასეთია დე ფაქტო პროკურატურის პოზიცია.

ამსათანავე, დე ფაქტო საგამოძიებო უწყების განცხადებით, გამოკითხული მოწმეები აცხადებენ, რომ ინციდენტი გიგა ოთხოზორიას მიერ იყო პროვოცირებული და სწორედ მან წამოიწყო ჩხუბი.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო აპირებს ქართულ მხარეს მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნით მიმართოს. ამ მოთხოვნის დაყენებას გალში დაგეგმილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის **(IPRM)** საგანგებო შეხვედრაზე აპირებენ.

დე ფაქტო უწყების პარალელურად, მომხდარს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროც ეხმაურება. კერძოდ, უწყების პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ გიგა ოთხოზორიას მკვლელობა „აფხაზი მესაზღვრეების" მოქმედების ზონაში მოხდა, შესაბამისად, რუს სამხედროებსა და მესაზღვრეებს ინციდენტთან არანაირი კავშირი არა აქვთ.

გარდა ამისა, ზახაროვამ აღნიშნა, რომ მოსკოვი მიესალმება ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების მექანიზმების აღდგენას, რომლის ფარგლებში პირველი შეხვედრა პარასკევს გაიმართება.

(newposts.ge; kvira.ge)

**● ესე იგი, რა გამოდის — სუს-ს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია, დაიჭირეს თუ არა ის არამზადა; აფხაზები მოკლულს აბრალებენ — მაგის ბრალი იყო, რაც მოხდაო; რუსეთმა კი ეს ყველაფერი იმით დააგვირგვინა, რომ აფხაზებმა მოკლეს გიგა ოთხოზორია, ხელებიც დაგვიბანიაო.**

**პირველ შემთხვევაშიც ძალიან დიდ უბედურებასთან გვაქვს საქმე, როცა სუს-მა არ იცის, რა ხდება საქართველოს მოქალაქის მკვლელის დაკავება-არდაკავების საქმეში, მეორე შემთხვევა დიდი უნამუსობაა, რადგან გიგა ოთხოზორია სამწუხაროდ, ვერ დაამტკიცებს თავის სიმართლეს, ხოლო რუსეთი კი... თუმცა რუსეთის უნამუსობა არახალი ამბავია.**

## მეჭიაური ამერიკულ „აბრამსებს" გაუღიზიანებია

თამაზ მეჭიაურმა ვერ დამალა უკმაყოფილება იმ ფაქტით, რომ 26 მაისის დღესთან დაკავშირებით მთავარ მოედანზე ამერიკული ტექნიკა გამოიფინა.

– ამ საზეიმო დღეს უცხო ქვეყნის ტექნიკით ვიწონებთ თავს და მეორე ნაწილი ოკუპირებული გვაქვს. ეს გარკვეულ სევდას ტოვებს ჩემში. ეს ტანკები თავის დროზე რომ მოსულიყვნენ, როცა ჩვენ გვიჭირდა ცხინვალის რეგიონში და ბრძოლაში დაემტკიცებინათ ჩვენი მხარდაჭერა, გაცილებით მოტივირებული ვიქნებოდი მე თვითონ, რომ ამ საზეიმო ვითარებაშიც მიეღოთ მონაწილეობა იმ ნაბრძოლ ტანკებს და არა მხოლოდ ვიღაცის მოსაჩვენებლად, აქეთ ჩვენი მოსახლეობის, ვითომ მხარში გვიდგას ვინმე და ჩვენ უძლეველები ვართ და მეორე მხრივ, სხვის გასაღიზიანებლად, რომ შეიძლება კიდევ პროვოცირებული იქნას ახალი კონფლიქტი, - თქვა მეჭიაურმა. (ნიუპოსტი)

**● ხელიფლება თქვენს ხელში იყო, ძალაუფლება თქვენს ხელში იყო და გეზრუნათ, ეს ოხერი, საკუთარი ტექნიკა რომ გვყოლოდა, მაგრამ არა — ისე მიეჩვიეთ უცნაურ კრიტიკას, ხალხი რომ არ გადარიოთ, აღარ შეგიძლიათ უკვე!..**

## კალაძე-ივანიშვილის სცენარი: —ეს ჯგუფი გამოჩნდება 8 ოქტომებრს - რა მოჰყვება კორცხელში მომხდარს?

„ნაციონალური მოძრაობა" კორცხელის დაპირისპირების გამოძიებას სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს, რომ დამოუკიდებელი გამოძიების შემთხვევაში, პირველ რიგში, ვიცეპრემიერ კახი კალაძის დაკითხვა უნდა მოხდეს:

– სასამართლო არ მიიღებს არანაირ აღმკვეთ ღონისძიებას. იტყვის, რომ ეს ხალხი თანამშრომლობს გამოძიებასთან და ეს სცენარი არის ივანიშვილი-კალაძის. ვინაიდან კალაძემ შექმნა ეს ჯგუფი, კალაძეა ამ ჯგუფზე პასუხისმგებელი და სწორედ ამიტომ ვითხოვთ ჩვენ კალაძის პასუხისმგებლობას, მის დაკითხვას. გამოძიება უნდა ჩატარდეს ნორმალურად და არა ისე, როგორც ახლა უნიათო და უპასუხისმგებლო შს მინისტრი იქცევა და პროკურორი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ხელის ბიჭია. რა თქმა უნდა, ყველა დაადებს კალაძეს ხელს იმიტომ, რომ მან შექმნა ეს ჯგუფი. ეს ჯგუფი პირველად გამოჩნდა გარდაბანში, ეს ჯგუფი გამოჩნდა კორცხელში, ეს ჯგუფი გამოჩნდება 8 ოქტომებრს, - აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აშკარად მაგრად მოხვედრია ამას კორცხელში — ბოდაგს უკვე!

„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, გიგა ბოკერია კორცხელისა და კარალეთის ინციდენტებზე საუბრობს და აცხადებს, რომ მთავარი განსხვევება ამ ორს შორის ის იყო, რომ მაშინ დამნაშავეები გმირებად არ უქცევიათ.

– დიდი პრობლემაა ის, ვინც ცდილობს წარსულში მომხდარი ამბებით დღევანდელის გამართლებას, თუნდაც მერე აყოლებდეს კი არ ვამართლებო, მაგრამ ამას იხსენებდეს მუდმივად, ეს ქვეყნის წინსვლაზე არ არის ორიენტირებული. წარმოიდგინეთ, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებიდან 4 წლის თავზე რომ დაწყებულიყო თავიდან მოტაცებები და შეკვეთილი მკვლობები. რა თქმა უნდა, ეს იყო ტიპიური ამბავი „ვარდების რევოლუციამდე", მერე ჩვენმა მთავრობამ ეს აღმოფხვრა და ჩვენ რომ გვეთქვა, ჰო, მაგრამ ეს მაშინაც ხომ ხდებოდა, რა პრობლემაა? ჩვენ ხომ წინ უნდა წავიდეთ? ასე რომ ყველანი დღეს მსხვერპლს და მოძალადეს ერთ რანგში განიხილავენ, თუნდაც ამ ერთი წინადადებით, ბრიყვული თეორიებით, ეს კეთდება პოლარიზაციისთვის ისინი ამართლებენ ძალადობას. ხალხო, პოლიტიკური განსხვავებები გვერდზე უნდა გადავდოთ. ის მინუსები, რაც თქვენი აზრით ძალიან დიდი იყო, ჩემი აზრით, იყო პატარა. უნდა დავძლიოთ და წინ წავიდეთ და ეს აუცილებლად მოხდება ოქტომბრის არჩევნებზე, მთელი ჩვენი საზოგადოების ძალისხმევით, - განაცხადა ბოკერიამ. (ipress.ge)

**● რა მინუსები იყო პატარა, გიგა ბატონო — ქუჩაში ხალხის დახვრეტა?! იქნებ ის, ბიზნესმენებს რომ ატერორებდა „ნაცმოძრაობა" და მათ აწყობილ საქმეებს პანტაპუნტით იფორმებდა?! აააა, ეტყობა, პატიმრების გაუპატიურება იყო „პატარა მინუსი", არა?! ციხეებში ადგილი რომ აღარ იყო, ეგეც „პატარა მინუსი" გამოდის და ისიც, ბიუჯეტის ფულით რომ ფინანსდებოდა სააკაშვილის კბენია მასაჟისტი, ხომ?! არა, ბიუჯეტს „ოცნებაც" რომ ზედ მოაჯდა, ეგეც გადასარევად ვიცით, მაგრამ კი გავითავისეთ უკვე, რომ დიდი განსხვავება „ნაციონალურ მოძრაობასა" და „ქართულ ოცნებას" შორის სულაც არ არის — აისრულეთ ყველა ოცნება და ძალაუფლებას ისე ებღაუჭებით, მზად ხართ, სისხლიც დაღვაროთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეს ისე იბრიქება, მართლა რაღაცას აპირებს!

მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მოქალაქეებს დამოუკიდებლობის დღეს „ფეისბუკზე" ულოცავს:

– გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს!

წელს ბოლოჯერ ვხვდებით მთავარ ეროვნულ დღესასწაულს აღლუმის გარეშე, - წერს მიხეილ სააკაშვილი. (ნიუპოსტი)

**● ან რისი იმედი აქვს, ან რა ჩაიფიქრა სააკაშვილმა, მოდი და გამოიცანი. არა, უბედურებები და მაიმუნობები რომ გასაკვირი არ არის ამისგან, გადასარევად ვიცით, მაგრამ აი, ეს თავდაჯერებულობა ისე გაგამწარებს კაცს, ისე გაგამწარებს, დაუოკებელი სურვილი გაგიჩნდება, „ქართულ ოცნებას" რაც სიგრძე აქვს, ის სიგანე მისცე!**

**აქვე ბარემ იმასაც გეტყვით, რომ უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ და უშიშროებამ სააკაშვილის მრჩეველ თეიმურაზ ნიშნიანიძის ოფისსა და სახლში ჩხრეკა ჩაატარა.**

**თავად სააკაშვილი აცხადებს, რომ პროვოკაციას უწყობენ, თუმცა სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ საქმე რამდენიმე მუხლით არის აღძრული.**

**ჰოდა, იმის გათვალისწინებით, რომ დიდი ალბათობით, სააკაშვილს უკრაინაში მალე აღარ დაედგომება, არ არის გამორიცხული, საქართველოში დაბრუნებისთვის ძალიან ცუდი ამბები დაატრიალოს.**

## გაგებაში არ ყოფილა წულუკიანი, რას ნიშნავს უსაფრთხოების ზომების გამკაცრება!

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ბოლო 4 წლის განმავლობაში საოკუპაციო ხაზთან უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია.

თეა წულუკიანის თქმით, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ აღარ განმეორდეს ტრაგედიები.

– პატივს მივაგებთ, როგორც პრემიერმა განაცხადა, ტრაგედიის მსხვერპლს, რომელიც ოკუპაციას შეეწირა. რაც შეეხება საოკუპაციო ხაზს, იქ ბოლო 4 წლის განმავლობაში უსაფრთხოების ზომები მხოლოდ და მხოლოდ თუ გამკაცრდა, თორემ სხვა მხრივ არ შეცვლილა და ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომავალში ამგვარი ტრაგედიები იქნეს თავიდან აცილებული, -განაცხდა წულუკიანმა. (news.ge)

**● გამკაცრდაო, თეა წულუკიანი კი გვარწმუნებს, მაგრამ ძალიან რთული დასაჯერებელია ეს ამბავი და ვისაც რა უნდა, ის თქვას.**

**ჯერ ერთი, როცა უნდათ და სადაც უნდათ, გადმოდიან სეპარატისტები და ოკუპანტები და მიერეკებიან ჩვენს მოქალაქეებს, ხოლო გიგა ოთხოზორიას უღმერთოდ მოკვლის შემდეგ საერთოდ როგორ უბრუნდება ენა წულუკიანს და უსაფრთხოების ზომების გამკაცრებაზე როგორ საუბრობს?!**

**ზუსტად ისეა ზომები გამკაცრებული, როგორც სამართლიანობა აღადგინა „ქართულმა ოცნებამ"!**

# რის მიღწევას შეეცდებიან „ნაციონალები“ პარლამენტისთვის გამოცხადებული ბოიკოტით?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

**„ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა, მას შემდეგ, რაც ზაზა პაპუაშვილმა ითხოვა, რომ 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მიერ დარბეული და ჩახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობისთვის წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ, „ნაცმოძრაობა“ პაპუაშვილის მოწოდებას არ შეუერთდა, რასაც თავისთავად „ქართული ოცნების“ მხრიდან შეძახილები და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე ყოველგვარ ადამიანურ ზღვარს სცილდება... და საერთოდ, როცა პარლამენტში გყავს დამნაშავე რეჟიმი, მკვლელი, ადამიანთა უფლებების შემლახავი, ქურდი, კლეპტოკრატი და საკანონმდებლო ორგანოში მის ყოფნას ეგუები, მოძებნი ფორმას და არქმევ კოჰაბიტაციას, ე.ი. შენც დამნაშავე ხარ. „ქართულმა ოცნებამ“ კი მიიღო ის, რაც ეკუთვნოდა. ჩვენ ვნახეთ, რომ შუალედურ არჩევნებში ორი რაიონი „ნაცმოძრაობას“ დარჩა, ეს ნიშნავს, რომ არჩევნებზე ჩვენ უნდა ვიხილოთ გამოცხადებული ომის ქრონიკა, თუმცა მანამდე „ნაცმოძრაობა“ ბოიკოტს აცხადებს, საპარლამენტო სხდომებს არ ესწრებიან და ამზადებენ ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმას.**

**რა სცენარს ამზადებს „ნაცმოძრაობა“? რას ფიქრობს ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე, რომელიც „მათ მოდგმას“ მეტნაკლებად კარგად იცნობს? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე იგი „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— ბატონო პეტრე, თქვენი აზრით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რაზე გათვალა ბოიკოტი, რის მიღწევა სურს?**

– ვერ ვიტყოდი, რომ მათი მხრიდან რაციონალური გათვლაა, მაგრამ მათ რომ კონკრეტული სამოქმედო გეგმა დაისახეს, ეს ფაქტია. „ნაციონალების“ პოზიცია არის ასეთი – ჩვენი ხელისუფლების დროს იყო ძალადობა, გადაცდომა, ციხის კადრები, მაგრამ ამისთვის ხომ პასუხი ვაგეთ და არჩევნები წავაგეთ, მშვიდობიანად გადავაბარეთ ხელისუფლება... და ამით დაიხურა წარსულის ფურცელი...

**— კი მაგრამ, მათ მიერ გაუპატიურებულებს, ქონებაჩამორთმეულებსა და დაინვალიდებულებს ამით შვება არ მისცემიათ, სამართალი მათთვის არ აღმდგარა.**

– „ნაციონალები“ დაიბადნენ სინდის-ნამუსის გარეშე, მათ შუბლის ძარღვი არ ჰქონიათ, ამიტომ არ იციან, ნამუსი რა არის. მათი გათვლა ასეთია, ყველგან და ყოველთვის მთელ მსოფლიოს აჩვენონ, რომ ისინი არიან პოლიტიკურად დევნილები, რომ ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს მათი პოლიტიკური დევნისთვის, არც ფიზიკურ შეურაცხყოფაზე ამბობს უარს „ქართული ოცნება“, რასაც ხშირად იყენებს. გაიხსენეთ ის ცემა-ტყეპა, რომელიც ამ პარლამენტში ბობოხიძემ გამოიწვია. ბობოხიძის მიზანი იყო პროვოკაციაზე წამოეგო „ქართული ოცნება“, ამტყდარიყო ცემა-ტყეპა და მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, როგორ „ჩაგრავს“ უმრავლესობა უმცირესობას, მიზანს მიაღწიეს კიდეც... ახლა მიდი და მოუყევი რომელიმე ევროპელს, ვინ მართალია და ვინ – მტყუანი. მისთვის მთავარია, კამერაზე აღბეჭდილი ვიდეოფირი, სადაც ჩანს, რომ უმრავლესობა ურტყამს უმცირესობას, ადამიანის დაჩაგვრა, კი მსოფლიოში მჩაგვრელისადმი უპატივცემულობას იწვევს. კორცხელის ეპიზოდშიც ზუსტად იგივე გათვლა იყო, რაც საჯარო ბიბლიოთეკასთან, როცა „ნაციონალებმა“ პროვოკაცია მოახდინეს. შეგახსენებთ, როგორ შეიჭრა მაშინ „ნაცების“ ჯგუფი ხალხში, მათ დერეფნით გასვლა არ მოინდომეს და პირდაპირ იმ ადამიანებში შევარდნენ, ვინც „ნაციონალებისადმი“ თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას არ მალავდა. ეს იყო კლასიკური პროვოკაცია. გახსოვთ, უგულავა ხელების ქნევით რომ ყვირის – „მოდით, შოუ გინდათ?! მიიღებთ!“ მართლაც დადგეს შოუ, იგივე შოუ დადგეს კორცხელში, მათ გამოიყენეს „ქოცების“ უნიათობა. მათთვის მთავარი მიზანი იყო, ტელევიზიებში მოევლო იმ კადრებს, სადაც „ნაციონალები“ არიან წაქცეულები, დასისხლიანებულები და მათ ურტყამენ. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება, სახელმწიფოსია შს სამინისტრო და მან უნდა უზრუნველყოს წესრიგი. მაგრამ ახლა მე ვსვამ კითხვას, მოჭიდავეებს რომ მართლა ეჩხუბათ იმ სპორტული მომზადებით და ერთ-ერთ მათგანს გამეტებით მოხვედროდა მოჭიდავის მუშტი, ამას რა მოჰყვებოდა, ხომ ადვილი წარმოსადგენია?!. ანუ კორცხელში ნამდვილი ჩხუბი და ცემა-ტყეპა არ ყოფილა. სპორტსმენებს რომ მთელი ძალით ეჩხუბათ აუცილებლად ვნახავდით ტვინის შერყევით და ნეკნებჩამტვრეულ ადამიანებს. ეს იყო „ნაციონალების“ მიერ პროვოცირებული, მაგრამ დიდი ენთუზიაზმით ამ პროვოკაციას წამოეგნენ „ქოცები“, მათ არაფერი იღონეს, პროვოკაციას რომ არ აჰყოლოდნენ. იცით, რა უნდა გაეკეთებინა „ქართულ ოცნებას“? მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ არჩევნებზე კორცხელში მიდიოდნენ ბოკერია, მელია, ჰქონდათ საშუალება, რომ პოლიციის საკმარისი რაოდენობის მობილიზება გამოეცხადებინათ მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეების დაცვის მიზნით და რამდენიც არ უნდა ეყვირათ „ნაციონალებს“ და პროვოკაციაზე წასულიყვნენ, რეაგირება არ უნდა ყოფილიყო და წესრიგი უნდა დაემყარებინათ პოლიციელებს და თუ „ნაციონალები“ ვინმეს სცემდნენ, ეს ვინმე უნდა ეჩვენებინათ ტელევიზიებით.

**— „ნაცმოძრაობა“ გასაგებია, მაგრამ ხალხი „ქართულ ოცნებაზეც“ გამწარებულია, ფიქრობენ, რომ შეთანხმებულ თამაშს აქვს ადგილი და ამ ბინძურ სპექტაკლში მონაწილეობას აღარ მივიღებთო. თქვენ რას ფიქრობთ, „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაცმოძრაობამ“ გადაინაწილეს ადგილობრივი არჩევნები, რაც დიდი არჩევნების წინ რეპეტიციაა?**

– ასე არ ვფიქრობ, მაქვს ზუსტი ინფორმაცია და პოლიტიკური გამოცდილება, რომ ასე არ ვიფიქრო, მაგრამ არ მიკვირს, როცა მოსახლეობა ასეთი თეორიებით ხსნის იმას, რაც ხდება, რადგან, როცა ხელისუფლების მოქმედება გაუგებარია, მას შეეძლო, რომ აბსოლუტურად მშვიდად ჩაეტარებინა პროცესი, რა თქმა უნდა კითხვის ნიშნები ჩნდება – რისთვის? რატომ? ის, რომ „ნაციონალები“ ბევრად მუშაობენ როგორც თბილისში აკრედიტებულ ელჩებთან, ასევე, დასავლეთში, ამაში უკვე ყველა დარწმუნდა. ერთ-ერთმა ძალიან დიდი დასავლური ქვეყნის დიპლომატმა ერთხელ წყენით მითხრა, რომელიც „ოცნებისა“ და პირადად, ივანიშვილის მომხრე იყო, ის თვლიდა, რომ ივანიშვილმა გადაარჩინა საქართველო დიქტატურისგან, მეუბნებოდა – პეტრე, პრობლემა აქვს „ქართულ ოცნებას“, მათი დელეგაცია რომ მიდის ბრიუსელსა და სტრასბურგში, ყველანი ერთად ვერ აკეთებენ იმას, რასაც ძალიან დამაჯერებლად, ფაქტებით, თავისი კარგი ინგლისურით თუ ფრანგულით ერთი „ნაციონალი“ აკეთებს. წარმოიდგინე ვითარება, მას შემდეგ, რაც „ნაციონალებმა“ დაატრიალეს საქართველოში, რისი მოწმეც მე ვარო, ამის შემდეგ ევროპარლამენტის ტრიბუნასთან უტიფრად დგანან „ნაციონალები“ და აბსოლუტურად სხვას ლაპარაკობენო. არადა, ამ უცხოელმა ძალიან კარგად იცის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რაც ფუფუნებაა. სამწუხაროდ, „ნაციონალები“ დასავლეთში იგებენ. მართალია, ყოველთვის არა აქვს დასავლეთს ის რეაქცია, რასაც „ნაციონალები“ მათგან ელოდებიან, მაგრამ მაინც არ წყვეტენ დასავლეთზე გამიზნულად მუშაობას.

**— სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ამ ხნის მანძილზე ვერ მიიღო კანონი, რომელიც მკაცრად განსაზღვრავდა ბოიკოტის პირობებს. ხალხმა რატომ უნდა დავაფინანსოთ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა, დარჩენილ 4 თვეს გამოიყენებენ პიარისთვის, აგიტაცია-პროპაგანდისთვის...**

– ბოიკოტის წინააღმდეგ კანონს ვერ მიიღებ, რადგან ყველა ქვეყანაში ბოიკოტი განსაზღვრული რამ არის, ოღონდ დემოკრატიულ ქვეყანაში ბოიკოტის საფუძველი არის გამოაშკარავებული და ვერც ერთი პარტია ვერ გაბედავს უსაფუძვლო ბოიკოტს და თუკი პარტია ვერ დაასაბუთებს ბოიკოტის მიზეზს, ის პარტია სამუდამოდ დაიმარხება. „ნაცმოძრაობას“ სინამდვილეში ამ ბოიკოტით სურს დასავლეთის ყურადღების მიპყრობა. სქემა არის ასეთი: მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, პოლიტიკური დევნაა გამოცხადებული „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებზე, თითქოს მათ უკანონოდ აპატიმრებენ. იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ ნორმალური პოლიტიკური პროცესის ნაცვლად პარლამენტში ხდება ფიზიკური ანგარიშსწორება, შეურაცხყოფა, დევნა და ამიტომ, მათი პოლიტიკური ბოიკოტი ამ ყველაფრის პროტესტია. მათ, როგორც პოლიტიკოსებმა, მიმართეს ბოიკოტის უკიდურეს ფორმას, თითქოს ყველაფერი სინჯეს კონსტრუქციული მოქმედებიდან დაწყებული, მაგრამ მიიღეს ფიზიკური ანგარიშსწორება. „ნაციონალები“ ამით სასურველი მიზნის მიღწევას დაელოდებიან და ექნებათ დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერა.

**— ხალხი გაოგნებულია, როგორ შეიძლება „ნაცმოძრაობას“ შუალედური არჩევნები მოეგო სამეგრელოს რეგიონში, სადაც საწამებელი ბუნაგები ჰქონდათ გაკეთებული. ამ ფენომენს რით ხსნით?**

– სამეგრელოში არის ადგილები, სადაც სააკაშვილი არის პოპულარული და როცა ვამბობთ, რომ „ნაცისტებს“ დაახლოებით 10%-იანი მხარდაჭერა აქვთ საქართველოში, არის ადგილები, სადაც მათ მიმართ მხარდაჭერა მეტია და კიდევ ერთი რამ, ზოგ ადგილას „ქოცებმა“ ადგილობრივ თვითმმართველობაში საკრებულოებში თუ გამგებლებად ისეთი ხალხი გაიყვანეს, რომ მოსახლეობა სასტიკად გაწბილდა.

**— სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლას კიდევ ერთხელ აანონსებს აქტიურ პოლიტიკურ ამპლუაში, „ნაციონალები“ ბოიკოტის რეჟიმზე გადავიდნენ, ჩანს რევოლუციური საფრთხე? ეს პერიოდი ხომ არ გაგონებთ 2003 წელს და სასახლის კარის ღალატსაც ხომ არ ვიხილავთ?**

– „ნაციონალებს“ ბევრს ესმის, რომ ცარიელ ადგილზე რაც არ უნდა მოიგონონ, რევოლუციას ვერ მოაწყობენ, ვინაიდან რევოლუციისთვის საჭიროა კრიტიკული მასა მოსახლეობაში, ეს კრიტიკული მასა კი „ნაციონალების“ მხარეს არ არის და ვერც იქნება, მაგრამ „ნაციონალები“ ემზადებიან იმისთვის, რომ რაიმე საბაბი ან მიზეზი თუ გამოჩნდა, გამოიყენონ. პატარა ქვეყანაში, სადაც დინამიკური პროცესებია, ასპროცენტიანი გარანტია არაფრის არ არის, ჩასაფრებულები არიან და ელოდებიან მუხტის აწევას, ეგებ, რამე მოხდეს. ჩემი ინფორმაციით, „ნაციონალების“ ამოცანაა, შეინარჩუნონ მთავარი ოპოზიციის სტატუსი პარლამენტში, ვინაიდან იციან, რომ ამ არჩევნებით ისინი ხელისუფლებაში ვერ მოვლენ და ამ პოზიციის დათმობა არ უნდათ. ხალხში „ნაცების“ მიმართ იმდენად ძლიერი იმუნიტეტია, არ ვიცი, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ამ ქვეყანაში რევოლუცია მოახდინონ „ნაციონალებმა“. მე ვერ ვხედავ, რომ კორცხელის, ან პარლამენტის ინციდენტმა „ნაცმოძრაობის“ მიმართ სიმპათია გაზარდა, პირიქით, იმის ძახილი, რომ „ნაციონალებს“ ჩაგრავენ, მხოლოდ დასავლეთის გარკვეულ კონტინგენტზე მუშაობს. ოთხ-ნახევარ თვეში არ ველი, რომ შეიქმნება ობიექტური პირობები რევოლუციის განსახორციელებლად, ისინი ვერ ააგორებენ რევოლუციურ სცენარს, სამაგიეროდ, „ოცნებას“ აქვს შანსი, რომ მოიგოს ქვეყნის მასშტაბით, რაც ვნახეთ ადგილობრივ არჩევნებზე, როცა შვიდი რეგიონიდან ორი დარჩათ „ნაციონალებს“. რაც შეეხება სააკაშვილის ბაქიბუქს, რომ ის საქართველოში დაბრუნდება, გეტყვით, რომ პირადად მე მომხრე ვარ, დაბრუნდეს, ეს აუცილებელია, ვინაიდან კანონის სრული დაცვით მისი დაპატიმრებისა და გასამართლების გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრიობა სრულყოფილი ვერ იქნება. როცა მოსახლეობის თვალწინ ადამიანმა ჩაიდინა მრავალი დანაშაული საკუთარი ერისა და სახელმწიფოს წინაშე, აქ შედის სადიზმი, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა, საკუთრების წართმევა, ქვეყნის ღალატი, რომელიც ჩაიდინა 2008 წლის აგვისტოში და „ქოცების“ დიდი დანაშაულია ის, რომ სააკაშვილს ხელი დააფარეს. ამ ეტაპზე არის ასეთი სურათი: „ქოცებს“ „ნაცები“ ჰყავთ მაშველ რგოლად, ბევრ რამეზე თვალი დახუჭეს და აპატიეს, შეიძლება ამ მაშველმა რგოლმა, საბოლოო ჯამში, „ქოცები“ ჩაძიროს.

**„ქოცების“ დიდი დანაშაულია ის, რომ სააკაშვილს ხელი დააფარეს. ამ ეტაპზე არის ასეთი სურათი: „ქოცებს“ „ნაცები“ ჰყავთ მაშველ რგოლად, ბევრ რამეზე თვალი დახუჭეს და აპატიეს, შეიძლება ამ მაშველმა რგოლმა, საბოლოო ჯამში, „ქოცები“ ჩაძიროს“**

## ნავთობის ფასი 50 დოლარამდე გაიზარდა

ნავთობის ფასი 2016 წლის განმავლობაში პირველად 50 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ბოლო მონაცემებით, „ბრენტის“ ტიპის ნავთობის ფასი ბარელზე 50 აშშ დოლარს გადასცდა, ხოლო **WTI**-ის ტიპის ნავთობის ფასმა 49 აშშ დოლარს მიაღწია. ბოლო დროს მსოფლიო ბაზარზე „შავ ოქროზე“ მოთხოვნა გაიზარდა, მიწოდება კი შეფერხდა.

2015 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში ნავთობის ფასის კლების ტენდენცია შეინიშნებოდა. ე.წ. შავ ოქროზე ფასი დაახლოებით 70 პროცენტით შემცირდა. 2016 წლის იანვრიდან კი ნავთობზე ფასების კვლავ მატება დაიწყო. ბოლოდროინდელი ტენდენცია ნავთობის მოპოვების გაყინვის შესახებ ოპეკსა და რუსეთს შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა განაპირობა. (ინტერ-პრესნიუსი)

## ირანი საქართველოს გავლით ევროპაში ახალ სატრანზიტო მარშრუტს გახსნის

ირანი საქართველოს გავლით ევროპაში ახალი სატრანზიტო მარშრუტის გახსნას გეგმავს. უახლოეს მომავალში თეირანი აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრებს გამართავს.

ამის შესახებ კონპანია „ირანის რკინიგზის“ დირექტორის მოადგილემ ჰუსეინ აშურმა ირანელ ჟურნალისტებს განუცხადა.

– თეირანი აპირებს ახალი სატრანზიტო მარშრუტის გახსნას, რომლის საშუალებითაც სპარსეთის ყურის რეგიონიდან ევროპაში ტვირთების ტრანსპორტირება განხორციელდება. ახალი პროექტი თურქული მარშრუტის ალტერნატივა იქნება, - აღნიშნა ჰუსეინ აშურმა.

მისი თქმით, ირანმა ახალი სარკინიგზო სატრანზიტო მარშრუტის შემუშავება ანკარასა და მოსკოვს შორის არსებული დაძაბულობის გათვალისწინებით გადაწყვიტა.

მარშრუტი შავი ზღვის გავლით გავა და საქართველოს გარდა, თეირანი აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებებს აზერბაიჯანის ხელისუფლებასთანაც გამართავს.

ჰუსეინ აშურის თქმით, პროექტი ითვალისწინებს ტვირთების ტრანსპორტირებას სპარსეთის ყურის რეგიონიდან რკინიგზის საშუალებით ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ კი საქართველოში. ბათუმისა და ფოთის პორტებიდან ტვირთების ტრანსპორტირება კი ჯერ ბულგარეთისა და რუმინეთის პორტებში განხორციელდება, მერე - ევროპის სხვა ქვეყნებში.

კომპანიის გათვლით, სპარსეთის ყურის რეგიონიდან ევროპაში ტვირთების გადასაზიდად 23 დღე იქნება საჭირო. (bpn.ge)

## იაპონიის პრემიერი G7-ს 2008 წლის ფინანსური კრიზისის გამეორებაზე აფრთხილებს

იაპონიის პრემიერმა **G7**-ის სამიტზე ყურადღება მსოფლიო ეკონომიკაში შექმნილ ვითარებაზე გაამახვილა და პარალელი 2008 წლის ფინანსურ კრიზისთან გაავლო.

მისი თქმით, ნედლეულის ფასები მსოფლიოში იმ ნიშნულს მიაღწევს, რა ნიშნულზეც 2008-2009 წლებში იყო. მისი თქმით, ბოლო 2 წელში 55 პროცენტიანი კლება სწორედ ამის მანიშნებელია.

შინზო აბემ მსოფლიოს განვითარებად ბაზრებზე შექმნილ სიტუაციას „საგანგაშო“ უწოდა.

**G7**-ის წევრები შეთანხმდნენ, რომ მსოფლიოში ეკონომიკური ზრდისთვის ქვეყნებმა პირველ რიგში, მოქნილი ფისკალური პოლიტიკა უნდა გაატარონ. ასევე, როგორც „როიტერი“ წერს, ქვეყნები თანხმდებიან, რომ გლობალურ სავალუტო ბაზრებზე კონტროლი უნდა გამკაცრდეს. (businesscontact.ge)


# აქ თქვენი რეკლამის ადგილია

# 577 44 44 42


ეკონომიკა... ბიზნესი... ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა...

## აჭარაში ზაფხულის ტურისტული სეზონი 28 მაისს გაიხსნება

28 მაისს, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ბულვარში ზაფხულის ტურისტულ სეზონს სპეციალური ღონისძიებით გახსნის. როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში აცხადებენ, ერთდღიანი ღონისძიების ფარგლებში საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიასა და ბულვარის ახლად რეაბილიტირებულ ხეივნებში მასშტაბური კონცერტი და გასართობი პროგრამაა დაგეგმილი.ღონისძიება 28 მაისს 11:00 საათზე, ბულვარის ცენტრალურ ფანტანებთან წყლის ფარდის შოუთი გაიხსნება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, ღონისძიებას „შუა ქალაქის“ მსახიობები ბაჩო ქაჯაია და ნოდარ გურგენაშვილი წაიყვანენ. დღის განმავლობაში სპეციალური დეკორაციებითა და განათებებით გაფორმებულ ბულვარში ღონისძიების სტუმრებს საშუალება ექნებათ, ადგილობრივი ბენდების **Nemo, Strawberry Fields, Sound Lab**, მოსიარულე დრამერების კონცერტებს დაესწრონ და ზაფხულში დასვენებასთან ასოცირებულ სხვადასხვა აქტივობებში, მასტერკლასებსა და შეჯიბრებებში მიიღონ მონაწილეობა.

სპეციალურად სეზონის გახსნის ღონისძიებისთვის აჭარაში ყველაზე პოპულარული ადგილები უფასო იქნება. 28 მაისისთვის, მსურველებს საშუალება ექნებათ ბათუმის ბოტანიკური ბაღს, გონიოს ციხეს, ნობელების მუზეუმს, არქეოლოგიური მუზეუმსა და მუნიციპალიტეტებში არსებული მუზეუმებს უფასოდ ეწვიონ. ღონისძიება 11:00 საათზე დაიწყება და ღამის 03:00 საათამდე გაგრძელდება. (commersant.ge)

## სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის საქართველომ ევროკავშირისგან 50 მილიონი ევრო მიიღო

**ENPARD 2** ფაზის ფარგლებში საქართველომ ევროკავშირისგან 50 მილიონი ევრო მიიღო. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნოდარ კერესელიძე აცხადებს, აღნიშნული თანხა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებს მოხმარდება, ისეთებს, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა და სურსათის უვნებლობა.

– **ENPARD 1** ფაზა უკვე მთავრდება და ჩვენ 1000-ზე მეტი ახალი კოოპერატივი გვაქვს, რაც ამ პროგრამის ძირითადი კომპონენტი იყო.

პროგრამა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, ერთი არის საბიუჯეტო დახმარების კომპონენტი, მეორე არის საგრანტო კომპონენტი, რომლითაც კონკრეტული ბენეფიციარი იღებს სარგებელს და მესამე არის ტექნიკური დახმარების კომპონენტი.

თანხები, პირველ რიგში, მოხმარდება იმას, რომ სოფლის მეურნეობის დარგში შეიქმნას წარმოების მასშტაბი, ანუ კოოპირების მეშვეობით მოხდეს წვრილი ფერმერების გაერთანება კოოპერატივებში.

ასევე, პროგრამა დაგვეხმარება, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი ინსტიტუტები მომზადებული და გადაიარაღებული იყვნენ იმისთვის, რათა დავაკმაყოფილოთ ყველა ის მოთხოვნა, რასაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გვაკისრებს.

პრიორიტეტული მიმართულება არის საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტები, როგორიც არის ღვინო, თხილი, ბოსტნეული და ასე შემდეგ, - განაცხადა კერესელიძემ. (businesscontact.ge)

# სოსო ჯაჭვლიანი: „ახია „ქართულ ოცნებაზე“, რომ აქამდე არ დავსაჯეთ ესენი... ახია კი არა, უარესის ღირსები ვართ...“

## რა განუცხადა ჯაჭვლიანმა „ალიას“ „ქართული ოცნების“ დატოვებაზე

**მაკა დეკანოსიძე**
551 99-18-19

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ „დაიფიცა“ კორცხელში მომხდარი ინციდენტის მონაწილე „დამნაშავეების“ და დამკვეთების დასჯამდე, პარლამენტში ჩვენს ფეხს ვეღარ ნახავთო. მიუხედავად ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლების მოწოდებისა, ცემა-ტყეპაში მონაწილე პირები არ დაუკავებიათ. როგორც ჩანს, ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, რა რისხვა შეიძლება მოჰყვეს საზოგადოების მხრიდან „ნაციონალების“ ცემაში მონაწილე პირების დაპატიმრებას, რადგან ნლების განმავლობაში, უამრავი სამხილის მიუხედავად, დღემდე 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმი არავის გაუსამართლებია და ერთეულების გარტდა, არც მკვლელობა-ძალადობისთვის უგია პასუხი შემსრულებლებს და არც ბრძანებათა გამცემებს – „ნაციონალთა“ პარტიულ ლიდერებს. „მოძალადე“ ბიჭების დაკავება კი შესაძლოა, მართლაც ბოლო წვეთი აღმოჩნდეს და მათ დასაცავად უამრავი ადამიანი ქუჩაში გამოვიდეს. კორცხელის ცემა-ტყეპა, ბოკერია-მელიას ტანდემისთვის მოხვედრილი რამდენიმე მუშტი, სანატრელიც კი გაუხდებათ ხელისუფლებასა და „ნაციონალებს“.

**„ალიას“ კვირის ყველაზე ხმაურიან ცემა-ტყეპაზე და დაუსჯელობის სინდრომის შედეგებზე, „ნაციონალების“ ერთ-ერთი გამორჩეული მსხვერპლი, დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი ესაუბრა:**

– მე პირადად ერთმნიშვნელოვნად ვემიჯნები ძალადობას, თუ ვინმე დასასჯელია, კანონით უნდა დაისაჯოს და უნდა დასჯილიყვნენ წარსულშიც. მაგრამ ახლა რომ ლაპარაკობენ, რომ იქ სპორტსმენები იყვნენ, პროფესია აქ არაფერ შუაშია, რა მნიშვნელობა აქვს, სპორტსმენი გალახავს, ექიმი, კოსმონავტი თუ ზეინკალი? „ნაციონალებს“ ახლა გაახსენდათ ძალადობის დასჯა? თავის დროზე, სააკაშვილის დროს, რომ ამოიღეს კანონიდან მუხლი, რის მიხედვითაც არც ლანძღვა, არც ცილისწამება და არაფერი აღარ ისჯება, ასე ხო არ შეიძლება არა?

როცა ვინმე დაისჯება ამის გამო, სხვა მოერიდება ამის კეთებას. თუ იქნება შეურაცხყოფასა და ძალადობაზე მკაცრი კანონი, ეს ძალიან დიდ პროცენტს შეაჩერებს. თუ ასე არ იქნება, სულ შეურაცხყოფას მიაყენებენ ერთმანეთს, ურტყამენ და უბრახუნებენ.

**— ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი კორცხელში მომხდარ ცემა-ტყეპას „ნაციონალების“ პროვოკაციად აფასებს და მაინც „ოცნების მხარდამჭერების დაკავებას ითხოვს, ეს ორმაგი მიდგომაც გაუგებარია... უამრავ ჩვენს თანამოქალაქეს, მათ შორის თქვენც ბორკილებს რომ გადებდნენ და გირტყამდნენ სააკაშვილის დროს, ამაზე აგო ვინმემ პასუხი? რატომ აღარ საუბრობს ამაზე ხელისუფლება? თუ ჰგონიათ რომ ხალხს რამე დაავიწყდება?**

– მოდით, მაშინ ასე გეტყვით, სოსო ჯაჭვლიანი კოჰაბიტაციაში არასოდეს არ შესულა არავისთან, მით უმეტეს ამ დამნაშავეებთან. პარლამენტში მოსვლიდან მოყოლებული მათ ღიად ვებრძვი, მაგრამ არავინ დაკითხულა, არაფერი გაკეთებულა და არავინ დასჯილა, ეს ძალიან ცუდია. ამიტომ, თუ პასუხს არ აგებინებ, უარეს მოხდება ყოველთვის. როგორაა, იცით? ძალიან მაგარ სიმართლეს რომ საუბრობენ ადამიანები, ეტყობა, ეს არავის არ „ევასება“. მე ასეთი შთაბეჭდილება მიჩნდება, ხელისუფლებაში იყო კოალიცია, რომელშიც უამრავი ადამიანი იყო, უამრავი პარტია იყო და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ იმდენი კომპრომატი არსებობდა, ალბათ, ერთზეც და მეორე მხარეზეც, რომ, სამწუხაროდ, მივიღეთ ის, რომ ეს ყველაფერი ძალიან დიდხანს გაგრძელდა და გამოგრძელდა. მაგრამ როცა ძალადობა და ცემა-ტყეპა ხდება წინასაარჩევნო წელს, თან შუალედურ არჩევნებზე, რომელსაც არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ეს დაუშვებელია. შეიძლება ღირსიც იყვნენ ცემის, მაგრამ ვინც ამას აკეთებს, ყველა არის „ოცნების“ მტერი. მე ახლა ვერ გამოვდგები ვიღაცების ადვოკატად, მაგრამ სამართალდამცავებმა უნდა გაარკვიონ, რა მოხდა რეალურად, როგორ მოხდა, საიდან მოდიოდა პროვოკაცია და ა.შ. ზოგადად, ვიცით, რაც მოხდა, როგორ იყო და რა იყო, მაგრამ შიგნით რა ხდებოდა, სანამ ეს ყველაფერი დაიწყებოდა, ჩვენ ხომ არ ვიცით?

**— როგორც თვითმხილველები ირწმუნებიან, „ნაციონალებმა“ შეურაცხყოფა მიაყენეს, აგინებდნენ ამ ბიჭებს...**

– ეჭვიც არ მეპარება, პროვოკაციას მოაწყობდნენ, იმიტომ რომ გიგა ბოკერიას კადრი ხომ ვნახეთ, რა, ელოდებოდა... მანამ კარგად არ გადაიღეს, არ წამოდგა ფეხზე. ხომ ვიცით, რომ მაგათ სისაძაგლეებს არ აქვს საზღვარი. ახლა ცუდ რამეს ვიტყვი, მაგრამ 2012 წლიდან რაც პარლამენტში ვართ, რომ დაიწყეს მასხარაობა და შეურაცხყოფები აქეთ მოგვაყენა ბარამიძემ, მაშინ ვინმემ დამიცვა ხელისუფლებიდან? კი არ უნდა გავეკავებინეთ მე და ვიქტორ ჯაფარიძე, უნდა გადაგვევლო და გადაგვევლო ბოლომდე. მაგრამ ვინც სიმართლეს ამბობს, გამოჰყავთ ისე და საზოგადოებას აჩვენებენ, რომ თითქოს არანორმალურია. მაჩვენონ ერთი ჩემი ქმედება, სადაც პირველი ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენე.

**— გასაგებია... კალაძისკენ იშვერენ ხელს, რომ მან ჩაიყვანა ეს ბიჭები „ნაციონალების“ საცემად...**

– კალაძემ კი არა, იმან კიდე... არავინ არ ჩაიყვანა. ყველა ადამიანს აქვს უფლება, სადაც უნდა, იქ იაროს და როგორც უნდა, სადაც უნდა, იქ ჩავიდეს და იმას დაუჭიროს მხარი, ვისაც უნდა. ეგრე არ არის? ჰოდა, როცა ჩადიხარ, ცოტა ყურადღებით არ უნდა იყო? მაინცდამაინც იქ რატომ მოხდა ეს ინციდენტი, სადაც „ნაციონალების“ ბანდა იყო ჩასული?

კიდევ ერთხელ ვგმობ, რაც მოხდა... ისე, ხომ ყოფილა უამრავი შემთხვევა, როცა უბედურებაც მომხდარა, მაგრამ მერე გაუმართლებიათ ადამიანი, რადგან მნიშვნელობა აქვს საპირისპირო მხრიდან რა მოდიოდა, რამ გამოიწვია ეს. ამიტომ ეს უნდა იყოს სათანადოდ გამოძიებული და ბრმად არავინ არ უნდა დაისაჯოს, რადგან „ნაციონალებს“ ასე უნდათ.

**— რომ არ მოხდეს სათანადო რეაგირება, თან პარალელურად „ნაციონალებს“ ბოიკოტი აქვთ გამოცხადებული და მთელ მსოფლიოში განგაში ატეხეს, როგორ უსწორდებიან ხელისუფლების მომხრეები მათ ლიდერებს, რა შეიძლება მოჰყვეს ამას?**

– „ნაციონალები“ რომ აი, ამაზე ბოიკოტს გამოაცხადებენ, შეიძლება ჩაისვაროს ადამიანმა სიცილით. თავად რა აქვთ ჩადენილი, 26 მაისს იქ არ ვიყავი? დასავლეთმა და აღმოსავლეთმა, ჩრდილოეთმა და სამხრეთმა კიდე მიხედონ თავის თავს და რეაქცია გააკეთონ იმაზე, რაც ხდებოდა წლების განმავლობაში. მაგრამ ზოგიერთებს ეტყობა, ძალიან ბევრი „მაყუთი“ აქვთ აღებული და იმიტომ ლობირებენ ასე.

**— სწორედ მაგას გეკითხებოდით, 26 მაისს მომხდარი უმოწყალო დარბევისთვის და სხვა უამრავი უბედურებისთვის ვინმე რომ დასჯილიყო, აღარავის ექნებოდა აგრესია კიდევ და „ნაციონალებიც“ არ გათავხედდებოდნენ ასე, მაგრამ მაშინდელმა მოძალადეებმა და დამრბევებმა აგეს პასუხი? დაიჭირეს ვინმე?**

– ვინ დააკავეს, 500 კაცი იყო დასისხლიანებული და დაშავებული, სასაკლაო მოაწყვეს, ვინმე დაისაჯა? არა მგონია...

**— ამ კითხვას იმიტომ გისვამთ, ბატონო სოსო, ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ გაქვთ ხელისუფლების პირველ პირებთან კომუნიკაცია და რატომ არ მოსთხოვეთ უფრო მკაცრად მოძალადეების დასჯა, არ გქონდათ ამის საშუალება?**

– როგორ არ მქონდა ამაზე საუბარი, თან ათასჯერ, ეგრე დაწერეთ ზუსტად. ყოველთვის მქონდა, მაქვს და მექნება კიდევ დასჯის მოთხოვნა, იმ ადამიანების, ვინც მართლა საშინელება გააკეთეს 26 მაისს, 7 ნოემბერს და უამრავჯერ სხვა დროს, შეკრება არ ყოფილა, ამაზე ხმამაღლა არ მეთქვას. ხომ წაიკითხავენ ამას არა ჩემი თანაგუნდელებიც და ვერავინ უარყოფს. არც მოვისვენებ ბოლომდე და ამას ყოველთვის ვიტყვი, მაგრამ არაფერს აკეთებენ, ვერ გავიგე რატომ... მაგრამ მერე ვიღაცები გამოდიან და იძახიან, თურმე მერაბიშვილი რა ნიჭიერია, ნლებს ეტყვი, მაგრამ 2012 ნლიდან რაც პარლამენტში ვართ, რომ დაიწყეს მასხარაობა და შეურაცხყოფები აქეთ მოგვაყენა ბარამიძემ, მაშინ ვინმემ დამიცვა ხელისუფლებიდან? კი არ უნდა გავეკავებინეთ მე და ვიქტორ ჯაფარიძე, უნდა გადაგვევლო და გადაგვევლო ბოლომდე. მაგრამ ვინც სიმართლეს ამბობს, გამოჰყავთ ისე და საზოგადოებას აჩვენებენ, რომ თითქოს არანორმალურია. მაჩვენონ ერთი ჩემი ქმედება, სადაც პირველი ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენე.

**— გასაგებია... კალაძისკენ იშვერენ ხელს, რომ მან ჩაიყვანა ეს ბიჭები „ნაციონალების“ საცემად...**

– კალაძემ კი არა, იმან კიდე... არავინ არ ჩაიყვანა. ყველა ადამიანს აქვს უფლება, სადაც უნდა, იქ იაროს და როგორც უნდა, სადაც უნდა, იქ ჩავიდეს და იმას დაუჭიროს მხარი, ვისაც უნდა. ეგრე არ არის? ჰოდა, როცა ჩადიხარ, ცოტა ყურადღებით არ უნდა იყო? მაინცდამაინც იქ რატომ მოხდა ეს ინციდენტი, სადაც „ნაციონალების“ ბანდა იყო ჩასული?

კიდევ ერთხელ ვგმობ, რაც მოხდა... ისე, ხომ ყოფილა უამრავი შემთხვევა, როცა უბედურებაც მომხდარა, მაგრამ მერე გაუმართლებიათ ადამიანი, რადგან

> „რაც პარლამენტში ვართ, რომ დაიწყეს მასხარაობა და შეურაცხყოფები აქეთ მოგვაყენა ბარამიძემ, მაშინ ვინმემ დამიცვა ხელისუფლებიდან? კი არ უნდა გავეკავებინეთ მე და ვიქტორ ჯაფარიძე, უნდა გადაგვევლო და გადაგვევლო ბოლომდე. მაგრამ ვინც სიმართლეს ამბობს, გამოჰყავთ ისე და საზოგადოებას აჩვენებენ, რომ თითქოს არანორმალურია“

უგულავა ტყუილად ზის და მაგარი ყოფილა. ხვდებით, ალბათ, ვისზეც გეუბნებით, პოლიტსაბჭოს ახალ წევრზე, კოლუაშვილზე. და მერე ამ კაცს ამართლებენ „ოცნებაშივე“. სასაკლაო მოგვიწყვეს, ეს აღარავის ახსოვს? თვალი დასთხარეს ადამიანებს, გვამები შემოდეს სახურავებზე. 31 დღე ვიშიმშილე მაშინ და სიკვდილს ძლივს გადავურჩი. ახლა გამოდიან ეს ადამიანები და თურმე რა კარგი ბიჭები ყოფილან, ვინც დაიჭირეს და ტყუილად დაუჭერიათ. მაგრამ უშუალო ჩამდენები დღემდე არავის დაუჭერია.

**— თუ ხედავთ, რომ მებრძოლ ხალხს და ვისაც მართლა შესტკივა გული ხალხზე, უკანა პლანზე წევენ და ახალ სახეებს უთმობენ გზას, ვისაც „ნაციონალებთან“ სიამტკბილობა უნდა, რატომ არ დატოვებთ მმართველ გუნდს? ამომრჩეველი მათ შეცდომებზე თქვენც ხომ მოგთხოვთ პასუხს?**

– შევხედავ ახლა, როგორ რეაქციას გააკეთებენ და მაგაზე ხვალზეგ ვისაუბროთ, ვინ სად და როგორ იქნება. რადგან დღეს განსაკუთრებული დღეა ჩემთვის და მინდა ქართველებს დამოუკიდებლობის დღე მივულოცო. ჩემთვის ეს დღე ტკივილიანიც არის და სასიხარულოც, იმიტომ რომ იმ ღამეს, ამ ნაძირალებმა რა ჩაიდინეს და რა გააკეთეს, ხალხი დახოცეს და დაასახიჩრეს, ახლა გამოდიან და ერთი უბრალო ჩხუბისთვის ააწიოკეს მსოფლიო. უბრალოდ, ვიძახი იმასთან შედარებით, რაც მათ დაატრიალეს საქართველოში. მარტო სანდრო გირგვლიანი ეყოფათ და ვაზაგაშვილი და რომელი ერთი ჩამოვთვალო. მარტო სანდრო გირგვლიანი გადაწონის ამ ყველაფერს, ახლა რაც ხდება.

**— როგორ ფიქრობთ, თუ წარსულში ჩადენილი დანაშაულისთვის არ მოსთხოვენ პასუხს და ახლა დასჯიან ამ ბიჭებს, ეს გამოიწვევს დიდი პროტესტს საზოგადოებაში?**

– რა თქმა უნდა, ეს განცდა აუცილებლად იქნება, მხარდასაჭერად ჩავიდნენ და წამოეგენ პროვოკაციას. ისე ახია „ქართულ ოცნებაზე“, რომ აქამდე არ დავსაჯეთ ესენი. ახია კი არა, უარესის ღირსები ვართ. სასწრაფოდ უნდა ყოფილიყო ზომები მიღებული, ვინ შეაჩერა ეს და რატომ, ამაზეც ყველას უნდა მოეთხოვოს პასუხი. ამას ვლაპარაკობ სულ და ახლა რა ვქნა სხვა.

# ძებნილმა დავით კეზერაშვილმა საქართველოში სასამართლო პროცესი მოიგო



## როგორ უშლის პარლამენტი ხელს სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრებას

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

**ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ (ბიზნესმენ როინ ნიჟარაძის საქმე) ძებნილ დავით კეზერაშვილთან სასამართლო პროცესი წააგო. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რაც დღეს ქართულ სასამართლოში ხდება, ეს მოსალოდნელიც იყო. მოკლედ, სიტუაცია ასე რადიკალურად მას შემდეგ შეტრიალდა, რაც ზურაბ ადეიშვილის ხელისბიჭებმა ისევ გაიმაგრეს პოზიციები და ლევან მურუსიძის დახმარებით, ისევ დაიწყეს დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების გამოტანა?**

**„ალიას“ შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრა:**

**— შალვა, მოკლედ ავუხსნათ მკითხველს, რატომ წააგე კეზერაშვილთან პროცესი, როცა სულ ამბობდი, ეს საქმე თითქმის მოგებულიაო?**

– წაგებაც ეგაა, რომ უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო საქმე და უკან დააბრუნა. ამ დროს პირველ და მეორე ინსტანციებში მოგებული გვქონდა, თითქმის დაბრუნებული იყო ქონება – ფოთის პორტში მეხუთე ნავმისადგომი. სულ სამი საქმე გვაქვს, ერთი მრავალსართულიანი შენობა ვაკეში, რომელიც კეზერაშვილმა წაართვა ნიჟარაძეს, მეორე უკან დააბრუნეს და მესამე კიდევ მოგებული გვაქვს. როგორც ბოლო დროს ვაკვირდები სასამართლო სისტემას, ისევ გაუგებრობები და ქაოსია, ჯერჯერობით პარლამენტიც კი ვერ შეიკრიბა, რომ უზენაესის სამი მოსამართლე დაამტკიცონ. მე ვფიქრობ, ხელოვნურად იწელება დრო და ამ დროს უამრავი ადგილია ვაკანტური, ხოლო საქმეების რაოდენობა უფრო მატულობს. ეს ეხება არა მხოლოდ უზენაესს, სხვა ინსტანციებშიც დასანიშნები არიან მოსამართლეები, ზოგს ვადა უკვე გაუვიდა, ზოგს უახლოეს თვეებში გასდის და ასე შემდეგ.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, სასამართლოში სიტუაცია ცოტა შეიცვალა, მაგრამ ეს არის შედარებითი და არა უკეთესი. ნინო გვენეტაძე კი ლაპარაკობს რეფორმის ჩატარებაზე, მაგრამ მარტო რას გააკეთებს, მე არ ვიცი. მას შემდეგ, რაც ისევ უძრავად დატოვეს მურუსიძეები, ცერცვაძეები და მეიშვილები, მას ამხელა ტვირთის ზიდვა ნამდვილად გაუჭირდება. მას სჭირდება მოსამართლეთა ისეთი კორპუსი, რომელსაც ექნება რეფორმის ჩატარების მორალური უფლება და პროფესიული ნება.

**— რა რეფორმაზეა ლაპარაკი, შალვა, ჩვენ ვხედავთ, რომ ვადები გასდით მოსამართლეებს და ან ისევ მათვე ნიშნავენ, ან კიდევ საიდანღაც ვიღაცები მოჰყავთ და ანინაურებენ. თავადვე ამბობ, უამრავი ვაკანტური ადგილიაო.**

– კი, ეს „ტანჯვა“ არის რეფორმის ერთი ნაწილი, თუ ამას რეფორმას დავარქმევთ. აქ საჭიროა სერიოზული საკანონმდებლო ბაზა, მისაღებია ცვლილებები იგივე სისხლის სამართლის კოდექსში, სამოქალაქო კოდექსში და ასე შემდეგ. ძალიან ბევრი საკითხია, რომელიც უფრო პარლამენტმა უნდა მოაგვაროს, მაგრამ ახლა ამ ოთხ თვეში რაღას მოაგვარებს? თუ შესაბამისი კანონები არ მიიღეს, ბუნებრივია, თანდათან უფრო გაღრმავდება სასამართლო სისტემის კრიზისი. აქ საკითხი დგას ასე: მოსამართლეები იძახიან და მართლებიც არიან, მოგვეცით საკანონმდებლო ბაზაო, პარლამენტი არ აძლევს და გამოდის, ახლა დამნაშავეები უნდა ვეძებოთ სასამართლოს გარეთ. მე არ ვიცი, მეჩვენება, რომ ხელისუფლება ცდილობს, სასამართლოც მოაქციოს კოჰაბიტაციის ახალ და უფრო ძლიერ რეჟიმში. რამდენიმე კანონპროექტი შეტანილია პარლამენტში იუსტიციის სამინისტროს მიერ და ყველა გაჩერებულია, ვის ხელშია და რა ხდება, კაცმა არ იცის!

**— კონკრეტულად რა კანონპროექტებზეა ლაპარაკი?**

– სასწრაფო წესით არის დასარეგულირებელი საპროცესოების საკითხი, შემოსაღებია შეკვეცილი სასამართლო პროცესების ფორმა და ასე შემდეგ.

**— საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით რა პრობლემაა?**

– მოსამართლეს უნდა შეეძლოს, პირობითი სასჯელი გამოიტანოს. პროკურორს თუ აქვს საპროცესო შეთანხმების უფლება, მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს? მსგავსი რამ მსოფლიოში არ არსებობს, ამიტომაც რჩება სასამართლო სისტემა პროკურატურის გავლენის ქვეშ. ამ საკითხის მოგვარება უკვე პარლამენტის პრეროგატივაა, მაგრამ ვინ აკეთებს? ის, რაც არ მოსწონდათ ამ მთავრობის წევრებს და ახლანდელ დეპუტატებს 2012 წლამდე, ახლა შესაცვლელად არაფერს აკეთებენ და როგორ უნდა მოიქცე? ამის გამოა მკვდარი საადვოკატო საქმიანობაც, ეს იწვევს უამრავ უბედურებას სასამართლოებში და ისევ ვართ 2012 წლამდელ მდგომარეობაში. ვერ გავიგე, რა ჭირი გვჭირს, მურუსიძეები და ცერცვაძეები კიდევ ერთი მორიგი სახადია საქართველოსთვის? პრინციპში, ეს შავი ჭირია, აბა, რა უბედურებაა?! როგორც ჩანს, კიდევ ერთი სახადი უნდა მოიხადოს ქართველმა ხალხმა!

**— როდის და როგორ უნდა მოიხადოს, როცა მოსამართლეებს 10 წლით ნიშნავენ? გავიდა ცხოვრება...**

– კი, მაგრამ, როცა ახალი ხელისუფლება მოვა და პოლიტიკური ნება იქნება, მაშინ შეიძლება, ყველაფერი შეიცვალოს. სხვა არჩევანი გვაქვს? არადა, ამ სახით სიტუაციის დატოვება არ შეიძლება. ვინც მოვა 2016 წლის შემოდგომაზე, ის უნდა ვაიძულოთ, რომ სიტუაცია შეცვალოს. არადა, ვიცხოვრებთ ისევ „ბარდაგში“.

**— ეს შეკვეცილი პროცესები რას ნიშნავს?**

– შეკვეცილი პროცესები ნიშნავს, როცა ბრალდებული დანაშაულს აღიარებს და მოსამართლეს შეუძლია, ან საპროცესო გაუფორმოს, ან კიდევ სხვა შეღავათები გაუწიოს. სასამართლოს კონტროლი უნდა განხორციელდეს პროკურატურაზე და არა პირიქით. სინამდვილეში ეს არის მთავარი. როდესაც ეს ხელისუფლება მოვიდა, პირველი საკითხი იყო, რომ სასამართლო უნდა განთავისუფლებულიყო პროკურატურის გავლენისგან, მაგრამ ასე არ მოხდა... უფრო სწორად, მოხდა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად, დეკლარაციის დონეზე. დღესაც პარლამენტარები გამოდიან და აცხადებენ, სასამართლო თავისუფალიაო, რანაირადაა თავისუფალი, როცა საკანონმდებლო დონეზე ისევ ჩაკეტილია? ახლა ორი-სამი მოსამართლე კარგ განაჩენს გამოიტანს თუ არა, ამით კლიმატი მაინც არ იცვლება, სასამართლო კონტროლი უნდა იყოს დაწესებული ნებისმიერი სამართალდამცავი ორგანოს მოქმედებაზე. ასევე, ადვოკატს უნდა მიეცეს უფლება, იყოს მხარე და აწარმოოს გამოძიება. რასაც მე ვამბობ, აქედან ზოგიერთი რამ ფურცლებზე წერია, მაგრამ შემდეგ კანონმდებლობაში არსებობს ისეთი ჩამკეტი მუხლები, რაც ამის განხორციელების საშუალებას არ იძლევა. ამ მხრივ, უნდა ჩატარდეს რეფორმა, წაიკითხონ, რა ხდება გერმანიაში, ამერიკაში თუ საფრანგეთში, ვიღაცას რომ მოიყვან და სკამზე დასვამ, ეს სხვა საკითხია, ამას ჰქვია საკადრო პოლიტიკა და არა რეფორმა. ასევე, გასარკვევია, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს დისციპლინური დევნის სტრუქტურა, მოსამართლეთა შერჩევის პრინციპი და ასე შემდეგ. ფაქტობრივად, საქმე ხელახლაა დასაწყები. თუნდაც ეს მუხლი ავიღოთ, რომლის გამოც ჩვენი საქმე უზენაესმა უკან დააბრუნა – „ამორალური გარიგება“. რატომ არ უნდა მიაქციოს სასამართლომ ყურადღება იმას, რომ კეზერაშვილმა 5-მილიონიანი ქონება იყიდა 1050 ლარად? აიძულა ადამიანი, მოაწერინა ხელი და გადააფორმებინა, ეს ხომ თეთრი ძაფით არის ნაკერი და ყველაფერი აშკარად ჩანს? სასამართლომ გვითხრა: კი, შეიძლება იყო ამორალური გარიგება, შეიძლება ადამიანი აიძულეს, რომ ხელი მოეწერა, მაგრამ ეს მაინც არ გახლავთ დამაჯერებელი, ფასთა სხვაობა არ არის საკმარისიო. როცა ასე დაგისვამენ საკითხს, რა უნდა ქნა? აი, ასეთ მდგომარეობაში ვართ დღეს და რა იქნება ხვალ, ეს უკვე ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. თუმცა ჩვენც უნდა ვიბრძოლოთ!

## მეჭიაური: არანაირი სინანულის გრძნობა არ გამაჩნია ბოკერიას გალახვის გამო

პარლამენტის წევრ თამაზ მეჭიაურის განცხადებით, კორცხელის ინციდენტში მთავარი დამნაშავე პირი „ნაციონალური მოძრაობის" წევრი გიგა ბოკერიაა.

– სამწუხაროა, რომ მაინცდამაინც აქედან ვიწყებთ ისტორიის ათვლას. ჩვენ უნდა დაგვეწყო სამართლიანობის აღდგენა უფრო ადრინდელი პერიოდიდან, როცა თავად ბოკერია და მისი თანამოაზრეები გეგმავდნენ და აღასრულებდნენ მთელ რიგ დარბევებს, „იბერიის" დარბევიდან დაწყებული, ასევე, სასტიკად რომ დაარბიეს მიტინგები 7 ნოემბერს, 25 მაისს. მთელი ამ სისასტიკების მთავარი იდეოლოგები იყო ბოკერია და მისი თანამოაზრეები.

თანავუგრძნობ იმ დანარჩენებს, რომლებიც უდანაშაულოდ იქნენ ამ ინციდენტის დროს დაზარალებულები, მაგრამ არანაირი სინანულის გრძნობა არ გამაჩნია ბოკერიას გალახვის გამო, რომელიც იმ პერიოდში, როცა ხალხი სასტიკად დაარბიეს, ამას თვლიდა დემოკრატიის ზეიმად, - განაცხადა მეჭიაურმა. (info9.ge)

## „ამერიკელები ვამაყობთ ქართველებთან მეგობრობით“ - გენერალი ჯონ ნიკოლსონი

ახალწვეულებს ფიცის მიღება და საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისიის და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების მეთაურმა ავღანეთში გენერალი, ჯონ ნიკოლსონმა მიულოცა.

– 1918 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველო მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც მსოფლიოს სტრატეგიული რეგიონი. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველო იყო შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორი კოსოვოს, ერაყისა და ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში. ის ემსახურება ჩვენს საერთო მიზანს, უზრუნველყოს საერთაშორისო მშვიდობა და სტაბილურობა. ამერიკელები ვამაყობთ ქართველებთან მეგობრობით. ჩემთვის, როგორც ამერიკელი გენერლისთვის, დიდი პატივია ვმეთაურობდე ქართველ ჯარისკაცებს. ავღანეთში მისიის დაწყების პირველივე დღიდან ქართველები მისიას ყველაზე უფრო ცხელ წერილში ასრულებდნენ, ავღანეთში სამხედრო კონტიგენტის რაოდენობის მხრივ საქართველო კოალიციურ ჯარებს შორის საქართველო ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორია, - აღნიშნა ნიკოლსონმა. (პირველი რადიო)

## რუსული სამხედრო ვერტმფრენი ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონო ფრენას ახორციელებდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური რუსული სამხედრო ვერტმფრენის ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონო ფრენის ფაქტს ადასტურებს.

– რუსული საოკუპაციო ძალების „მი-8“ ტიპის სამხედრო ვერტმფრენი, 26 მაისს დღის მანძილზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ახორციელებდა უკანონო ფრენას. ვერტმფრენს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცე არ დაურღვევია, - აცხადებენ სუს-ის პრეს-სამსახურში. (ნიუპოსტი)

## ირაკლი ბათიაშვილი: სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას მასობრივი არეულობების გზით გეგმავს

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი ირაკლი ბათიაშვილი საქართველოში დაბრუნების შესახებ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას მასობრივი არეულობების გზით გეგმავს.

– „ნაციონალებსა“ და სააკაშვილს ძალიან კარგად ესმით, რომ არჩევნების გზით ისინი ვერანაირად დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. ძალიან კარგად იციან, რეალურად რამდენი უჭერს მხარს, იციან, რომ ხალხის უმრავლესობა მათ მიმართ არის სიძულვილითა და ანტიპათიით განწყობილი, ამიტომ მინდა გითხრათ, რომ არის სერიოზული ინფორმაცია იმის თაობაზე, სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას მასობრივი არეულობების მოწყობის გზით გეგმავს, რომელიც ასევე არ გამორიცხავს დიდ სისხლისღვრასაც. აი, ეს გეგმა ტრიალებს მის გონებაში. მათ კარგად იციან, რომ მარტო თავისი პარტიის ხარჯზე ვერ „გაქაჩავენ“ ამას, არჩევნებამდე ცდილობენ, რომ რაღაცნაიარად თვითონ გადავიდნენ უკანა პლანზე და წინ გამოაჩინონ სხვები, რა თქმა უნდა, ორგანიზატორები იქნებიან თვითონ, მათ ამის გამოცდილებაც აქვთ და ფულიც. სააკაშვილი აპირებს, გამოიყენოს ყველა შესაძლო რესურსი.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეჩქარება მას ეს ყველაფერი, ვინაიდან უკრაინაში ძალიან ცუდად აქვს საქმეები, იცის, რომ ადრე თუ გვიან მოუწევს თანამდებობიდან წასვლა, უკვე იმდენი მტერი ჰყავს, რომ შეიძლება უკრაინისთვისაც სახიფათო იყოს, ამიტომ ეჩქარება აქ ქართული „მაიდანის“ მოწყობა, - განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა. (რეპორტიორი)



# რისთვის დასჭირდა ხელისუფლებას 26 მაისს ამერიკელ-ინგლისელი სამხედროების და მათი ტექნიკის დემონსტრირება?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

Mzia Saganelidze (R)

საქართველოს ხელისუფლებამ 26-მაისობა აღლუმის გარეშე, მაგრამ საკმაოდ პომპეზურად იზეიმა. სხვა ღონისძიებებს არ შევეხები, მხოლოდ სამხედრო თემაზე მოგახსენებთ. ახალწვეულთა მიერ ფიცის დადების ცერემონიაში წელს, პირველად, საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელ ორკესტრთან ერთად მონაწილეობდნენ ნატო-ს წევრი ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის საპარაშუტო-სადესანტო პოლკის, ლატვიის შეიარაღებული ძალების ეროვნული და აშშ-ის საჰაერო ძალების ორკესტრები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების „ალფას“ ამერიკულმა ასეულმა, ბრიტანეთის სამხედრო ძალების ასეულმა. საქართველოს სტუმრობდნენ აშშ-ის არმიის ევროპული ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ფრედერიკ ბენჰოჯესი, ავღანეთში ამერიკის სამხედრო ძალების მეთაური, გენერალი ჯონ ნიკოლსონი. გარდა ამისა, რუსთაველზე მოხდა ამერიკული ტანკის „აბრამსისა“ და ჯავშანმანქანა „ბრედლის“ დემონსტრირება, რომლებიც ბულგარეთის ნატო-ს ბაზიდან ჩამოიყვანეს საქართველოში. აღსანიშნავი იყო, ასევე, ქართული სამხედრო მწარმოებელი კომპანია „დელტას“ მიერ შექმნილი 120 მმ-იანი თვითმავალი ნაღმმტყორცნი **GMM-120**-ის პრეზენტაცია. მის შექმნაზე „დელტას“ ინჟინრები რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდნენ.

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ჯარისკაცების, ოფიცრებისა და სამხედრო ტექნიკის გამოჩენამ საზოგადოებრივი აზრი ორად გაყო. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს ძალიან კარგი იყო, რადგან ამით საქართველომ კიდევ ერთხელ და დემონსტრაციულად დააფიქსირა, რომ ნატო-სკენ სწრაფვას არ შეაჩერებს და ხელისულება სხვა ალტერნატივაზე არც ფიქრობს. მათი ოპონენტები კი აცხადებენ, რომ

**– ვარშავის სამიტის წინ, ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი იყო. ნატო-ს ხელმძღვანელებსა და მისი წევრი სახელმწიფოების მეთაურებს ამით კიდევ ერთხელ დავუფიქსირეთ, რომ საქართველო ყველაფერს აკეთებს ნატო-სთან მეტი ინტეგრაციისთვის, მასთან დასაახლოებლად. ასევე, დავაფიქსირეთ ისიც, რომ საქართველო ისწრაფვის ნატო-ს სამხედრო-ტექნიკური თავსებადობისკენ.**

**— კი, ბატონო, მაგრამ ბევრი აცხადებს, რომ ეს უცხოელი სამხედროები და გენერლები წავლენ საქართველოდან, იმ სამხედრო ტექნიკასაც თან გაიყოლებენ და ჩვენ კვლავ შიშველი ხელებით დავრჩებით რუსეთთან პირისპირ. რუსეთს რომ ეს ყველაფერი გააღიზიანებს, ეს ხომ ყველამ კარგად ვიცით? რუსეთმა სერიოზული პრობლემები რომ შეგვიქმნას. ამის გამო გვიღირდა ეს კეკლუცობა?**

– ეს არ იყო კეკლუცობა, ნატო-ს წევრობას თუ აპირებ, ამგვარ აღლუმებში ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედროებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, სამხედრო ტექნიკამაც და უფრო მეტი რომ ყოფილიყო ეს ყველაფერი, ბევრად უკეთესი იქნებოდა. კეკლუცობა ის არის, როცა მხოლოდ აღლუმებსა და გამოსაჩენ ღონისძიებებში დააფიქსირებ ნატო-სკენ სწრაფვას და ამისთვის რეალურად სხვას არაფერს გააკეთებ. ჩვენმა სახელმწიფომ კი არაერთხელ დაადასტურა, რომ ნატო ჩვენი ერთადერთი არჩევანია და მასში გასაწევრიანებლად ყველაფერს აკეთებს. რაც შეეხება რუსეთის გაღიზიანებას, ამის გამო საქართველო საგარეო-პოლიტიკურ კურსს ვერ შეცვლის. რუსეთი საფრთხეა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, მაგრამ ამის გამო ნატო-ზე უარი არც ერთ მის პრეტენდენტ სახელმწიფოს არ უთქვამს. რა ვქნათ, რუსეთის გასაგონად ვიძახოთ ნატო-ში არ შევდივართო და ღამით ჩუმად შევიპაროთ?

**— ნატო-ში რომ არ გვიღებენ და იქით რუსეთსაც ვაგიჟებთ, მე ამას ვჩივი...**

– კი ბატონო, ჩვენში ბევრი საფუძვლიანად ფიქრობს, ნატო-სკენ სწრაფვა ხომ არ მოგვიყვანს საბოლოოდ რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციამდე, მაგრამ ნატო-ს გარდა, სხვა არჩევანი არ გვაქვს. ნატო, სანამ მისი წევრები არ გავხდებით, რუსეთთან ჩვენ გამო რომ არ იომებს, ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ სამხედრო დაპირისპირებამდე არ უნდა მივიყვანოთ საქმე. აქ დროის ფაქტორია მნიშვნელოვანი. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივაღწიოთ ნატო-მდე, გავხდეთ მისი წევრი და უსაფრთხოების ამ ქოლგის ქვეშ უნდა ამოვყოთ თავი, ეს რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავაკეთოთ ისე, რომ რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციას გადავურჩეთ, ბეწვის ხიდზე გავდივართ უკვე რამდენიმე წელია და ამ ხიდის ბოლოს უნდა მივაღწიოთ. იქ უკვე ნატოა და მერე ის დაგვიცავს რუსეთისგან.

ვინც იმაზე აპელირებს, რომ საქართველო ნატო-სკენ სწრაფვის დემონსტრირებით რუსეთს აღიზიანებს, იმას ავიწყდება, რომ ნატო მარტო რუსეთისგან თავდაცვისთვის არ გვჭირდება. აგრესიული ისლამის საცეცები გვიახლოვდება და ნატო-ს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ საქართველოს მისგან დაცვა. ამაზე რატომღაც არავინ ფიქრობს, არადა, ისლამური ხალიფატი მალე ბევრად უფრო სერიოზულ საფრთხედ შეიძლება გვექცეს, ვიდრე დღეს რუსეთი გვიქადის.

**26 მაისის ღონისძიებაში ნატო-ს წევრი ქვეყნების გენერლების, სამხედროებისა და სამხედრო ტექნიკის მონაწილეობის ავკარგიანობის შესახებ, „ალიას“ სამხედრო ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

**— ბატონი ვახტანგ, რამდენად აუცილებელი იყო ჩვენი ქვეყნისთვის ნატოს-ს ქვედანაყოფების დემონსტრირება და ჩვენ რა ხეირი ამით?**

# რატომ ჩაიჭრა საატესტატო გამოცდებში ათასობით მოსწავლე და რა არის გამოსავალი?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



საატესტატო გამოცდებმა საგანგაშო ვითარება აჩვენა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, გამოცდაზე 42 700-ზე მეტი მოსწავლე გამოცხადდა, მათგან ზღვარი წარმატებით მონაწილეთა 86%-ზე მეტმა გადალახა, ანუ გამოცდა დაახლოებით 36 700-ზე მეტმა მოსწავლემ ჩააბარა. მიმდინარე წელს, შარშანდელთან შედარებით, ბევრად არის გაზრდილი ჩაჭრილთა რაოდენობა, რასაც შეფასებისა და გამოცდების ცენტრი ასე განმარტავს, რომ შარშან გამოსაშვები გამოცდებისთვის 40 ათასზე ოდნავ მეტი იყო დარეგისტრირებული, წელს კი – 47 ათასიაო.

არსებული ინფორმაციით, მხოლოდ მათემატიკის გამოცდებში 5 ათასზე მეტი მოსწავლე ჩაიჭრა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ოდენობა ეროვნულ გამოცდებზე გამსვლელთა რიცხვს სრულად დააკლდება, რადგან გამოსაშვები გამოცდებისთვის მეტი რეგისტრირდება, ვიდრე ეროვნული გამოცდებისთვის. ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმაც აღინიშნა, რომ თითქმის 50%-ით შემცირდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც დამატებით საგნად მათემატიკისა და მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის სწავლებაში ნამდვილადაა ხარვეზები, რომლებიც გამოსწორებას საჭიროებს.

რატომ არ იქონია შედეგი გასული ერთი წლის განმავლობაში, პრობლემის აღმოსაფხვრელად გახარჯულმა საბიუჯეტო ხარჯებმა? რამ გამოიწვია მიღებული შედეგი და რა არის გამოსავალი?

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია, „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი, დავით ფერაძე ესაუბრა:**

– ამ დრომდე არ გვეუბნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, რამდენი მოსწავლეა ჩაჭრილი – ხან 3 ათასიო, ხან 5... ჩემი ინფორმაციით, 8 ათასს უტოლდება გამოცდებში ჩაჭრილთა რაოდენობა, რაც კატასტროფული მაჩვენებელია, თუმცა გვიმალავენ ამ შედეგს. რთულია ასაღიარებლად, რომ ასეთი მძიმე შედეგია, მაგრამ ვერ გაექცევიან ამ შედეგს, მოუწევთ აღიარება... მე ვფიქრობ, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, მიუხედავად ყველაფრისა, არ ელოდა, რომ ასეთი დამანგრეველი შედეგები იქნებოდა.

– რას გვეტყვით პრობლემებზე, რატომ მივიღეთ ასეთი შედეგები, როცა ვიცით, რომ ბევრი ღონისძიება გატარდა შარშანდელი მდგომარეობის გამოსასწორებლად?

– ვინც ჩახედულია ამ ტესტებში, ყველა დამეთანხმება, რომ სულ მთლად დალაგებული სიტუაცია არ გვქონდა ტესტებში. ამ ტესტებით თუ ვიმსჯელებთ, უნდა აღინიშნოს, რომ ტესტები მარტივი იყო, რადგან იმის ალბათობა, რომ ვინმე ჩაჭრილიყო, მინიმუმამდე დაეყვანათ. და მართლაც, საერთოდ არაფერი უნდა გცოდნოდა, რომ ჩაჭრილიყავი და ამ პირობებში რომ ასეთი შედეგი დაიდო, ესაა, საგანგაშოს რომ ხდის ვითარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტესტებში უმაღლესი შედეგის მიღწევაც ძალიან რთული იყო, იმიტომ რომ გვხვდებოდა ისეთი შეკითხვები, რომლებიც საერთოდ არ ჯდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში და ასე მოხდა ყველა საგანში.

– რას გულისხმობთ?

– როგორც მოსწავლეებს გამოჰქონდათ ინფორმაცია, ტესტებში შეტანილი იყო ძალიან რთული და პედანტური დეტალები. ისეთები, როგორებიც გათვლილია ინფორმაციულ მახსოვრობაზე. მაგალითად, ქართულში იყო ასეთი საკითხები – რა ფერის იყო ღვინო, რომელიც ესხა იმ ჭიქაში, რომელიც შუშანიკმა ჯოჯიკს შეალეწა სახეში? ან როგორი აღჭურვილობა ჰქონდათ ჯვაროსნულ ომებში მონაწილე მეომრებს? ამ დროს კი ეროვნული სასწავლო გეგმა ითხოვს, მოსწავლეს სკოლამ ჩამოუყალიბოს ლოგიკური, ანალიტიკური და ა.შ. მახსოვრობა. მათემატიკაში იყო ასეთი შემთხვევაც, როცა მოცემული იყო მაგალითი, თავისი სავარაუდო ოთხი პასუხით და გეკითხებოდნენ, მოცემული განტოლებიდან გამომდინარე, რომელი პასუხი იყო სწორი. ამ დროს კი არ ჩანდა განტოლება არსად. ველი საერთოდ ცარიელი იყო. ასევე, იყო მოსული ისეთი შეკითხვებიც, რომლებიც საერთოდ არ იყო პროგრამით გათვალისწინებული. ამ შემთხვევებში, პასუხისმგებლობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ეკისრება, თუმცა მარტო მათშიც არ არის პრობლემა.

ადრეც ვთქვი და მკითხველს შევახსენებ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი დაპირისპირებული არიან ერთმანეთთან და აქვე უნდა აღვნიშნო, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მხრიდან, ეს ხდება სავსებით სამართლიანადაც. ამ შედეგით საგამოცდო ცენტრმა გააკეთა განაცხადი, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ მუშაობს და კრახს განიცდის ყველა ფრონტზე. იგივე შეიძლება ითქვას იმ ფაქტზე, როცა მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ჩაიჭრა. ნათელი გახდა, რომ სამინისტრო ვერც პედაგოგებთან მიმართებაში მუშაობს და ვერც მოსწავლეებთან მიმართებაში, მალე ამას ერთიანი ეროვნული გამოცდები დაუსვამს ბეჭედს. ის კი, რაც ახლა ხდება, არის უწყების კრახის ოფიციალური დადასტურება.

ის, რომ 5 ათასზე მეტი მოსწავლე ჩაიჭრა მხოლოდ მათემატიკაში, მოწმობს იმას, რომ ამ სფეროში, საერთოდ არაფერი არ კეთდება და გასული წლის განმავლობაში, სახელმწიფოს ამ საკითხის მოსაგვარებად, ტყუილად გადაუყრია წელიწადში 3 მილიონ ნახევარზე მეტი ლარი. სრულიად არაადეკვატურად უმუშავია განათლების სისტემას. 5 ათასი მოსწავლე, საატესტატო გამოცდებში, მხოლოდ ერთ საგანში მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ჩაჭრილა და არც ჩაიჭრება, დარწმუნებული ვარ.

– გამოსავალს რაში ხედავთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩაჭრილთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება?

– ამ საკითხით მთავრობა უნდა დაინტერესდეს. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ არჩევნების წინ სახელმწიფომ გადაიმტერა, მინიმუმ, 8 ათასი მოსწავლე, რომელთა უკანაც 2, 3 და მეტი ადამიანი დგას, რაც სერიოზული ელექტორატია. რაც შეეხება გამოსავალს – წლებია, ვამბობ, რომ, როცა სანიკიძე მოვიდა სისტემაში, რომელსაც არაფერი გაეგებოდა განათლების სისტემის და მისნაირებით გაავსო უწყება, ეს დაღუპავდა ისედაც გაუმართავ განათლების სისტემას. წლებია ვამბობ, რომ მალე ამ შედეგის წინაშე დავდგებოდით. ჩვენ უკვე დავდექით ამ შედეგის წინაშე. სერიოზული რეფორმებია გასატარებელი განათლების სისტემაში და ამას ვერ გააკეთებს სანიკიძე და მისი გუნდი. საამისოდ, მათ არც ცოდნა გააჩნიათ და არც გამოცდილება. ახლო წარსულში „ალია“ წერდა, რომ ლადო ჭანტურია ჩაიბარებდა განათლების სისტემას, თუმცა, როგორც ინფორმაცია მაქვს, მან უარი თქვა, მოცემულ ვითარებაში, როდესაც 3 თვე დარჩა არჩევნებამდე, ამ სიტუაციაში მყოფი სისტემა ჩაებარებინა. მე, როგორც ვიცი, ის მომავალ მინისტრთა კაბინეტში დაიკავებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადგილს.

გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ სწორად განხორციელებული საკადრო ცვლილებებია და რაც მთავარია, ქვეყნისთვის უნდა გახდეს პრიორიტეტული განათლება. დააკვირდით, მერამდენე ადგილზეა პრიორიტეტებით განათლება – თუნდაც პოლიტიკური პარტიების მიერ მომზადებულ წინასაარჩევნო პროგრამებში. ვის სცალია განათლებისთვის, ერთმანეთს ჭამენ, პარლამენტში ადგილები როგორ უნდა გადაინაწილონ.

**„წლებია, ვამბობ, რომ, როცა სანიკიძე მოვიდა სისტემაში, რომელსაც არაფერი გაეგებოდა განათლების სისტემის და მისნაირებით გაავსო უწყება, ეს დაღუპავდა ისედაც გაუმართავ განათლების სისტემას. წლებია ვამბობ, რომ მალე ამ შედეგის წინაშე დავდგებოდით. ჩვენ უკვე დავდექით ამ შედეგის წინაშე“**

## „სპორტსმენების დაკავების საფუძველი მე და გამოძიებას აღარ გვქონდა“

შს მინისტრის ინფორმაციით, კორცხელის ინციდენტში მონაწილე სპორტსმენების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

გიორგი მღებრიშვილმა კორცხელის ინციდენტის კომენტირებისას განაცხადა, რომ მიმდინარეობს გამოძიება და საჭიროა გამოძიების შედეგებს დაველოდოთ. ამასთან, შს მინისტრის ინფორმაციით, არ არის აუცილებელი აჟიოტაჟის შექმნა.

– თხოვნა მექნება ყველას მისამართით, ზედმეტი ემოციებისგან გათავისუფლდნენ და დაელოდონ გამოძიებას. გამოძიებას აქვს თავისი პროცედურები, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული. ჩემი განცხადების შემდგომ, სპორტსმენები თვითონ გამოცხადნენ შს სამინისტროში, ითანამშრომლეს გამოძიებასთან, აქედან გამომდინარე, მათი დაკავების საფუძველი მე და გამოძიებას აღარ გვქონდა. მიუხედავად ამისა, მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. დაველოდოთ გამოძიებას და ნუ შევქმნით აჟიოტაჟს არაფრის გამო, - განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა. (pia.ge)

## „ჩვენ ვერ ვნახეთ ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული ნაბიჯები, ვისმენთ იმას, რომ არ ღირს აჟიოტაჟის ატეხვა“, - კუკავა ოთხოზორიას მკვლელობაზე

ხელისუფლების მხრიდან არასათანადო ნაბიჯებზე საუბრობს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, რომელიც ოკუპანტის მიერ ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორიას დაკრძალვაზე იმყოფებოდა.

– ჩვენ ვისმენთ ხელისუფლების კომენტარებს ამ დღეებში, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, რომ ამის გამო არ ღირს ზედმეტი აჟიოტაჟის ატეხვა და რომ ეს ვითარება ჯობია იმას, რაც ადრე იყო. ჩენ ვერ ვნახეთ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის მხრიდან რაიმე კონკრეტული ქმედება, თუნდაც დამნაშავის დაკავებისკენ გადადგმული, ან აფხაზურ მხარესთან წაყენებული პირობები, - განაცხადა კუკავამ.

ხურჩაში რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლის მიერ მოკლული გიგა ოთხოზორია 26 მაისს ზუგდიდში დაკრძალეს. (ნიუპოსტი)

## გიგა ოთხოზორიას მკვლელის ძებნის მოთხოვნით, ინტერპოლს უკვე მიმართეთ

მთავარი პროკურორის განცხადებით, ქართულმა მხარემ გიგა ოთხოზორიას მკვლელის ძებნის მოთხოვნით ინტერპოლს უკვე მიმართა.

– მივმართეთ ინტერპოლს დამნაშავის წითელი ცირკულარით ძებნის მოთხოვნით. ველოდებით პასუხს. ეს უდიდესი ტრაგედიაა არა მხოლოდ ოთხოზორიების ოჯახის, არამედ მთელი ქვეყნის, - განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

საკითხს ეხმაურება საგარეო საქმეთა მინისტრიც. კერძოდ, მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, მთავრობამ აამოქმედა ყველა საერთაშორისო ბერკეტი და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ გიგა ოთხოზორიას მკვლელი დაისაჯოს.

ჯანელიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შესაბამისი ქმედებების განხორციელება არ დაუგვიანია.

– იმედს ვიტოვებთ, რომ ყველა ინსტრუმენტით, რომელიც ავამოქმდებთ, შევძლებთ დაისაჯოს დამნაშავე კანონის შესაბამისად და პასუხი აგოს ამ საშინელი დანაშაულისთვის. მთავრობა ახორციელებს ყველაფერს, რომ ეს მოხდეს, - განაცხადა ჯანელიძემ.

(pia.ge)

## „გლუვი და პრიალა კანია კარგი, მეგობრებო, ტვინს ნაოჭები უხდება“

პარტია „იმედის" ლიდერი ირინა სარიშვილი სოციალურ ქსელში სტატუს აქვეყნებს.

სტატუსის შინაარსიდან გამომდინარე, პოსტს კონკრეტული ადრესატი ჰყავს:

– ამ დღეებში იმდენი შეკითხვა, იმდენი პასუხი და შემდეგ ამ შეკითხვებისა და პასუხების ახსნა მიწევს, ცოტა არ იყოს, დავიღალე. დაღლით კი მაშინ იღლები, როცა შენს ნათქვამს მსმენელი არც მეტი, არც ნაკლები, ისხლიტავს და ისევ თავისას ერეკება იმის მიუხედავად, რას ეუბნები. არც გისმენს, ისხლიტავს.

ასხლეტვა კი მხოლოდ გლუვი ზედაპირიდანაა შესაძლებელი. გლუვი და პრიალა კანია კარგი, მეგობრებო, ტვინს ნაოჭები უხდება, - წერს ირინა სარიშვილი.

(mediamall.ge)



# რა ოქმი გამოაქვეყნა საპატრიარქოს წმინდა სინოდმა...

## რა უყოცობაში ამხილეს პრეზიდენტი და პრემიერი 26 მაისთან დაკავშირებით?

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

გუშინ საპატრიარქომ 25 მაისს ჩატარებული წმინდა სინოდის სხდომის ოქმი გამოაქვეყნა, სადაც მიმოხილულია ის საკითხები, რომელზეც სინოდის წევრებმა იმსჯელეს. კითხვა გააჩინა ქორწინებასთან დაკავშირებულმა საკითხმა, რომლის მიხედვითაც: „ქორწინება მართლმადიდებლებისა არამართლმადიდებლებთან იკრძალება კანონიკური აკრიბიის მიხედვით და არ იკურთხება (ტრულის კრების 72-ე კანონი), თუმცა შესაძლებელია იკურთხოს შემწყნარებლობითა და კაცთმოყვარეობით, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები მოინათლებიან და აღიზრდებიან მართლმადიდებელ ეკლესიაში“. ოქმში წერია, რომ ეს პუნქტი უნდა შეიცვალოს და დარჩეს მხოლოდ ის ნაწილი, რომ მართლმადიდებლების არამართლმადიდებლებთან ქორწინება იკრძალება. იმ დროს, როდესაც საქართველოში ძალიან ბევრი არამართლმადიდებელი ცხოვრობს, რამდენად სწორია სინოდის ეს პოზიცია? რა დააშავა, მაგალითად, მართლმადიდებელმა კაცმა, თუკი აჭარელი მუსლიმანი ქალი შეუყვარდა, მასზე დაქორწინება გადაწყვიტა და ამის გამო საქართველოს ეკლესია ასეთ ოჯახს არ დალოცავს? ერთი შეხედვით, აღნიშნული ჩასნორების პირველი ვარიანტი გაცილებით სწორი მიდგომა ჩანს, ვიდრე ახლანდელი ვერსია და რამ გამოიწვია ასეთი ჩასნორების გაკეთება, რა იყო ამის მიზეზი?

ამის გასარკვევად „ალია“ საქართველოს პატრიარქის მდივანს, მიქაელ ბოტკოველს დაუკავშირდა, რომელმაც სინოდის სხდომის მდივანთან გადაგვამისამართა და ტელეფონი უცერემონიოდ გაგვითიშა. როგორც დავადგინეთ, სინოდის სხდომის მდივანი მეუფე შიო იყო, რომელთან დაკავშირებასაც ვცდილობდით, თუმცა მან ტელეფონს არ უპასუხა. ამიტომ საპატრიარქოს მხრიდან ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი, ამ ეტაპზე, ვერ მივიღეთ.

**ამ საკითხში ჩახედული პიროვნების ძიებაში „ეროვნულების“ ლიდერ სანდრო ბრეგაძეს „მივადექით“, რომელიც საკითხში გარკვეული აღმოჩნდა:**

– ეს შესწორება შესულია იმისთვის, რომ მსოფლიოს საეკლესიო კრების დოკუმენტთან შესაბამისობაში მოსულიყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის ეს გადაწყვეტილება. გათვალისწინებული იქნა მსოფლიოს საეკლესიო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, შეუძლებელია, მსოფლიო მართლმადიდებლურ საეკლესიო კრებას მიეღო გადაწყვეტილება, ხოლო ჩვენი ეკლესია, რომელიც მისი წევრია, ყოფილიყო შეუსაბამობაში მის მიერ მიღებულ დოკუმენტთან. სამოქალაქო ქორწინებას არავინ კრძალავს და შეუძლიათ, ასე იქორწინოს ქრისტიანმა მუსლიმანზე, მუსლიმანმა იუდეველზე და ა.შ. ეკლესიის მიერ ქორწინების დალოცვას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, როდესაც მართლმადიდებლები ქორწინდებიან, დალოცავს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია, როდესაც მუსლიმანები ქორწინდებიან, მათ მოლა დალოცავს და ა.შ. თითქმის ყველა რელიგიაში ესეა.

**— მე არ ვარ კომპეტენტური საეკლესიო საკითხებში, მაგრამ ჩემს ვარაუდს გეტყვით: ასე კონკრეტული რომ არ იყოს ეს მომენტი, უფრო ხომ არ აჯობებდა? ხომ არ შეუწყობდა ეს ხელს არამართლმადიდებელთა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე გადმოსვლას?**

– რა თქმა უნდა, მსოფლიოს ისტორიაში არსებობს მომენტები, როდესაც მამაკაცი ან ქალი იცვლის რელიგიას, მაგრამ რელიგიის შეცვლა არ უნდა მოხდეს იმის გამო, რომ ვინმე ცოლად მოიყვანოს ან ვინმეს ცოლად გაჰყვეს – ეს ყველაფერი უნდა მოხდეს შენი რწმენის მიხედვით და თუკი ადამიანი მივა იმ რწმენამდე, რომ ჭეშმარიტი რელიგია არის მართლმადიდებლობა, მას შეუძლია, რელიგია შეიცვალოს. არც ერთი რელიგიური კონფესია არ უშვებს სხვადასხვა რელიგიური კონფესიის ადამიანების ქორწინებას და ამას არ ლოცავს. სახელმწიფოს აქვს ჩვეულებრივი ნორმატიული აქტები, რომლის მიხედვითაც კანონის ძალით ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთზე დაქორწინება, რა რელიგიური აღმსარებლობისაც არ უნდა იყვნენ ისინი.

მინდა ერთ მოვლენას მივესალმო: ეკლესიის წმინდა სინოდმა ღიად, დაუფარავად განაცხადა თავისი პოზიცია ერთი და იმავე სქესის ადამიანთა ქორწინების თაობაზე და ამ განჩინების შემდგომ, თუკი ვინმე მართლმადიდებელი არის საქართველოს პარლამენტში, აბსოლუტურად ყველამ მხარი უნდა დაუჭიროს ჩვენს ინიციატივას, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში უნდა გაჩნდეს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ერთობა. ნებისმიერი ადამიანი და პარლამენტის დეპუტატი, რომელიც ამ საკონსტიტუციო ცვლილების წინააღმდეგ წავა, ჩათვალეთ, რომ მიდის თავისი რწმენის, თავისი ეკლესიის წინააღმდეგ. ამიტომ ეკლესიის ეს გადაწყვეტილება ძალიან მნიშვნელოვანია პარლამენტში კენჭისყრის პროცედურის წინ. აქვე მინდა გითხრათ, რომ პარლამენტში ზოგიერთები აცხადებენ, თითქოსდა ამ ჩანაწერს არ გააჩნია რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა, სინამდვილეში კი იმ ადამიანებზე, ვინც ამ საკონსტიტუციო ცვლილებას ხმა უნდა მისცეს, მიმდინარეობს სერიოზული ზეწოლა უცხოეთიდან, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული არ იქნას. ჩვენი ეკლესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სწორედ ამითაც არის მნიშვნელოვანი და ვფიქრობ, ეს უნდა გახდეს გადამწყვეტი ამ საკონსტიტუციო შესწორების მიღების საქმეში.

**— „ფეისბუქში“ თქვენს „პოსტს“ წავაწყდი, უკმაყოფილო ხართ 26 მაისის ზეიმით აღნიშვნით. რა არ მოგეწონათ?**

– ჩვენ გვაქვს ძალზე სამარცხვინო მოვლენასთან საქმე, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა, პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა და საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ელემენტარულად არ იციან, რომ 26 მაისს ჩვენ ვზეიმობთ არა საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავს, არამედ ვზეიმობთ პირველი რესპუბლიკის მიერ 1918 წელს გამოცხადებულ დამოუკიდებლობის აქტს და მისი მიღების დღეს. იმ წლიდან დღემდე გასულია არა 25, არამედ 98 წელი და თუკი 26 მაისს მოხდებოდა ამის აღნიშვნა, უნდა მოხდეს პირველი რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების 98 წლისთავის აღნიშვნა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავი იყო 2016 წლის 9 აპრილს და მინდა, შევახსენო ჩვენს ე.წ. განათლებულ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს: 25 წლის წინათ 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. მთელი თბილისი და საქართველო მოფენილია ბილბორდებით, „გილოცავთ დამოუკიდებლობის 25 წლისთავს“ – ეს უდიდესი შეურაცხყოფაა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მართლაც ითვლის 25 წელს, მაგრამ ეს იყო ამა წლის 9 აპრილს. როდესაც საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირებმა ელემენტარულად ეს არ იციან, დასკვნები მკითხველმა გამოიტანონ, როგორ უყვართ მათ სამშობლო, როგორ იცნობენ თავიანთი ქვეყნის ისტორიას და როგორ რუდუნებით ეპყრობიან ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას. ვფიქრობ, ეს კურიოზების წიგნშია შესატანი, მაგრამ მე ნამდვილად არ მეკურიოზება ამ შემთხვევაში, რადგანაც ყოველივე აქედან გამომდინარეობს ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მეასე და მეათასეხარისხოვანია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დღეს საქართველოს მართავენ.

## მიხეილ გორბაჩოვს უკრაინაში ჩასვლა აეკრძალა

უკრაინის უშიშროების სამსახურმა ყოფილი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს ქვეყანაში ჩასვლა 5 წლით აკრძალა.

ამის შესახებ უწყების ოფიციალური „ტვიტერი“ იტყობინება.

აკრძალვის მიზეზი, გორბაჩოვისგან, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის ღია მხარდაჭერა გახდა.

გასულ კვირას, 85 წლის პოლიტიკოსმა **Sunday Times**-თან ინტერვიუში, ყირიმთა დაკავშირებით გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ვლადიმერ პუტინის ადგილზე, ისიც ანალოგიურად მოიქცეოდა.

– მე ყოველთვის ვითვალისწინებდი ხალხის ნებას, ყირიმელების უმრავლესობას კი რუსეთთან გაერთიანება სურდა, - განაცხადა გორბაჩოვმა. (ნოუპოსტი)

## ია მეტრეველი: სააკაშვილის კიდევ ერთხელ დაბრუნებას საზოგადოება არ დაუშვებს!

– ეს არის სააკაშვილის მორიგი პროვოკაციების წინაპირობა, ანუ ამხნევებს თავის მომხრეებს, - ასე ეხმაურება მოკლული ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი მიხეილ სააკაშვილის განცხადებას საქართველოში დაბრუნების შესახებ.

– ვხედავთ, რომ დაიშალა „ნაციონალური მოძრაობა“, თუმცა პროვოკაციებზე არიან გადასულები, რაც ახლა მოხდა სამეგრელოში, ეს იყო მათ მიერ დაგეგმილი პროვოკაცია, ეს არის ნაწილი გეგმის, რასაც აპირებენ არჩევნების დროს. არაერთხელ გვსმენია და სატელეფონო საუბრებიც მოვისმინეთ, რომ აპირებენ პროვოკაციას. მე ადრეც გავაკეთე განცხადება, რომ ნამდვილად ეცდებიან არეულობის გამოწვევას. ეს არის მოძალადე პარტია, რომელმაც, კარგად ვიცით, რაც გაუკეთა ქვეყანას 9 წლის მანძილზე. ახლაც ძალადობით აპირებენ დაბრუნებას და აქ უკვე ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, მათ დროულად უნდა აღკვეთონ სააკაშვილის პროვოკაციები. ეს არის მისი ოცნება, იმავე ძალადობის განხორციელება, რასაც აკეთებდა ამდენი წლის მანძილზე. ამას ხალხი არ დაუშვებს, საზოგადოება არ დაუშვებს, რომ სააკაშვილი კიდევ ერთხელ დაბრუნდეს ხელისუფლებაში. მე პირადად, ალბათ, პირველი დავდგები და შევწირავ სიცოცხლეს, რომ ისინი არ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, ალბათ, ეს არასდროს მოხდება.

ხელისუფლებას მოვუწოდებ, აღკვეთილ იქნას ყველა ის ძალადობა და პროვოკაცია, რასაც სააკაშვილი გეგმავს და აპირებს, - აცხადებს ია მეტრეველი. (რეპორტიორი)



## „ნიკა მელია არ უნდა დადიოდეს თბილისის ქუჩებში“

კორცხელის დაპირისპირების ერთ-ერთი მონაწილე კობა ტყეშელაშვილი სამეგრელოში მომხდარის შესახებ საუბრობს და „ნაციონალურ მოძრაობას" პროვოკაციების მოწყობაში ადანაშაულებს. ტყეშელაშვილის განცხადებით, კორცხელში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ადგილზე ნიკა მელია გამოჩნდა:

– პირველი ზონდერი იყო, სცემდა ხალხს ხელკეტებით... ნიკა მელიას მოსვლამდე იქ არაფერი არ ხდებოდა. მოვიდა იქ, დაიწყო პროვოკაციები, ხელის წავლება ბიჭებზე, კუნთები ხომ არ გატყუებს, გაქაჩვა-გამოქაჩვები. ერთ მომენტში ჩვენი სპორტსმენი ეუბნება - „ხელი ჩაწიე“, იმიტომ, რომ ძაან აგრესიულად იქცეოდა. ვფიქრობ, მაგათმა ეს სპეციაულრად დადგეს იმიტომ, რომ სხვა შანსი არ აქვთ... ქვა დაარტყეს ჩვენს ერთ მეგობარს თავში, ზუსტად იმ ადგილზე, სანამ დაიწყებოდა ყველაფერი. ვიღაც გამოვარდა, არ ვიცი ვინ იყო და ქვა ჩაარტყეს თავში. არ დავასახელებ ვინაობას შეგნებულად, ეს ბიჭი მიყვანილი იყო ზუგდიდის საავადმყოფოში და ყველაფერი იცის პოლიციამ, ყველამ ყველაფერი იცის. მაქედან დაიწყეს ყველაფერი. ყველაფერი უცებ მოხდა, მეც დუბინკა გადამატეხეს. სახეზე ვერ ამოვიცანი, არ ვიცი ვინ იყო, მე ხომ სტუმრად ვიყავი ჩასული, სტუმრად კი არ ვიყავი, ვაფიქსირებდი ჩემს აზრს, მე ვარ „ქართული ოცნების“ მომხრე, 2012 წლიდან გვერდით ვუდგავარ „ოცნებას“ და ვთვლი საჭიროდ, რომ გვერდით ვედგე ქართველ ხალხს და „ქართულ ოცნებას“, რომ ისევ ესენი არ დაბრუნდნენ და არ გაამწარონ ხალხი, როგორც გაამწარეს... ეს კადრები „რუსთავი 2“-ის კადრებია, სხვისი არაფერი არ არის, დაამონტაჟეს და ამოჭრეს ის, რაც თვითონ აწყობდათ, - განაცხადა კობა ტყეშელაშვილი. (პირველი რადიო)

## სოსო ცინცაძე: ეს არჩევნები კი არა, რევოლუცია იქნება!



საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში დაბრუნებასა და პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ ჩართვას აპირებს. თუმცა არ დაუზუსტებია, როდის შეიძლება ეს მოხდეს. ამ თემაზე კომენტარი გააკეთა ექსპერტმა სოსო ცინცაძემ და აღნიშნა, რომ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება ოქტომბრის არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული.

– თუ „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს არჩევნებში, მაშინ უკვე ავტომატურ რეჟიმში მოეხსნება სააკაშვილს ყველა ბრალდება, რაც მას წაყენებული აქვს და რასაკვირველია, ჩამოვა. ახლა, რამდენად რეალურია ეს, დამოკიდებულია არჩევნების შედეგებზე. უნიკალურ არსს სძენს მომავალ არჩევნებს ეს ყველაფერი. კლასიკური გაგებით, არჩევნების მოსალოდნელი შედეგები, ძალზედ შორს დგას ნორმალურ და დემოკრატიულ ქვეყნებში ასეული წლების მანძილზე ფეხმოკიდებული პრაქტიკისაგან. ჩვენთან ამ არჩევნებს პირდაპირ რომ ვთქვათ, ოპოზიცია ანიჭებს რევოლუციურ მნიშვნელობას, ეს არჩევნები კი არ იქნება, ეს იქნება რევოლუცია, შეიძლება მშვიდობიანი, ყოველგვარი სისხლიანი შედეგების გარეშე, შეიძლება პირიქით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, თეორიულად მაინც, იქნება რევოლუციური მნიშვნელობის არჩევნები, აი, ამ სიტყვის სრული დატვირთვით, - განაცხადა სოსო ცინცაძემ. (რეპორტიორი)

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: 2011 წელს მიხეილ სააკაშვილმა 26 მაისი უღირსად შელახა!

„გაერთიანებული დემოკრატების“ წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე 2011 წლის 26 მაისთან დაკავშირებით საუბრობს. მისი თქმით, ეს არის მიხეილ სააკაშვილის მიერ უღირსად შელახული დღე.

– საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან გასულია 25 წელი და ეს არის საიუბილეო თარიღი და დღე, რომელიც 2011 წელს უღირსად იქნა შელახული მიხეილ სააკაშვილის მიერ, რა დროსაც მისი უშუალო განკარგულებითა და ბრძანებით მოხდა მშვიდობიანი მომიტინგეების სასტიკი დარბევა სამხედრო სპეციალური ოპერაციის გზით. სამწუხაროდ, დღემდე გამოძიებას ყველა დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით არ გააჩნია პასუხი. მეტსაც გეტყვით, როგორც იცით, საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის დეკემბერში 200 ყოფილი პოლიტიკური პატიმარი გამოავლინა თავისი დადგენილებით, მათ შორის 40 გახლავთ „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელი და უშუალო მონაწილე 2011 წლის 26 მაისის მოვლენებისა, რომელთა მიმართ მარეაბილიტირებელი სამართლებრივი პროცედურები არამცთუ დასრულებული არ არის, არც დაწყებული. ეს არის სამართლებრივი ნონსენსი, როდესაც პირი აღიარებულია პოლიტპატიმრად, მაგრამ მის მიმართ დადგენილი შეზღუდვები არის ძალაში. ყველა დამნაშავე პირი, რომლებმაც ჩაიდინეს მკვლელობები და ადამიანების უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, არ არის პასუხისგებაში მიცემული, არც ერთ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება არათუ არ დასრულებულა, არც დაწყებული, - აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე. (რეპორტიორი)

## ქარელის შემდეგ ძლიერმა სეტყვამ გორის რაიონიც დააზარალა

ქარელის რაიონის შემდეგ ძლიერმა სეტყვამ გორის მუნიციპალიტეტის სოფლებიც დააზარალა.

განსაკუთრებული პრობლემები შეიქმნა სოფელ სვენეთსა და ბერბუკში. განადგურებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ხეხილი და ვაზი. სეტყვა დაახლოებით, ოცი წუთი გრძელდებოდა. სოფლებთან ერთად სეტყვა იყო ქალაქ გორშიც.

რაც შეეხება ქარელს, ძლიერი სეტყვის შედეგად იქ მოსავლის 90 პროცენტზე მეტი განადგურდა. სეტყვა თითქმის ნახევარ საათს გრძელდებოდა. როგორც ცნობილია, განადგურებულია ყურძნის მოსავალი, ბოსტნეული კულტურები, ხახვი, ნიორი, კარტოფილი და პომიდორი. განადგურებულია ატმისა და ვაშლის მოსავალი. (ნოუპოსტი)



## ტუსკი: ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ გააუქმებს

ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელმა დონალდ ტუსკმა განაცხადა, რომ ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაუქმებას არ აპირებს. მისი თქმით, სანქციები იქამდე იმოქმედებს, ვიდრე მოსკოვი მინსკის შეთანხმებებს არ შეასრულებს.

– ევროკავშირი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დღეს მოქმედ პოლიტიკას, მათ შორის ეკონომიკურ სანქციებს, გააგრძელებს. ევროკავშირის ეს პოლიტიკა მინსკის შეთანხმებების სრულ შესრულებას მოითხოვს. სამწუხაროდ, ამ მხრივ რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა, — განაცხადა ტუსკმა.

მან ასევე დაამატა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მომდევნო ორი-სამი კვირის განმავლობაში იქნება მიღებული. (kvira.ge)

## დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმი რუსეთში შესვლაზე 2017 წელს ჩატარდება

ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ რეფერენდუმი 2017 წელს ჩატარდება. როგორც სააგენტო „რია ნოვოსტი" წერს, აღნიშნულის შესახებ განცხადებას ხელი 26 მაისს მოწერა.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა და ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარემ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში გაწევრიანების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას მხარი 2017 წლისთვის დაუჭირეს.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ რეფერენდუმის ჩატარება „სამხრეთ ოსეთის ხალხს ინტერესებისა“ და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობის მიზნით ხორციელდება.

აღნიშნული რეფერენდუმი, ცხინვალს უფლებას მისცემს, მოსკოვს „ერთიანი მოკავშირე ორგანოს“ შექმნის იდეა წარუდგინოს, რომელსაც რესპუბლიკა ხელისუფლების უფლებამოსილებას მიანიჭებს.

– რეფერენდუმი უახლოეს მომავალში ჩატარდება, ერთი წლის შემდეგ კი არა, არამედ ნახევარ წელიწადზე მალე. ეს საკითხი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ერთად განვიხილეთ და იმ დასკვამდე მივედით, რომ ეს სამხრეთ ოსეთის შიდა საკითხია. ამ საკითხს იურიდიული შესწავლა სჭირდება და მის განსახორციელებელად საკონსტიტუციო ცვლილებებია აუცილებელი, რისთვისაც ეს რეფერენდუმი ჩატარდება, - აცხადებს ლეონიდ თიბილოვი. (ipress.ge)

# ანეკდოტები მიხეილ სააკაშვილზე


გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70

რამდენიმე წლის წინ ერთგვარი ექსპერიმენტის ჩატარება გადავწყვიტე და საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესახებ გამოქვეყნებული ანეკდოტების საგულდაგულოდ შეგროვება დავიწყე.

იმ დროის შემდეგ დიდი ხანი გავიდა და საქართველოს ცხოვრებაში არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა. „მიშა მაგარია" ამჟამად მოძმე უკრაინაში მოღვაწეობს.

სიმართლე გითხრათ, სააკაშვილის თითოეული გამოსვლა ადრე და დღესაც დიდად მახალისებს. ხშირად მიფიქრია: ეს ადამიანი საკუთარ ნიჭს ჰაერს ატანს და თუ მოისურვა, ქართული სატელევიზიო „კომედი შოუს" ერთ-ერთი წამყვანი მონაწილე გახდება. რაც თავი მახსოვს ორი „ხუმარა" პოლიტიკოსი მართობდა. ერთი ცხონებული ბრეჟნევი გახლდათ, მეორე კი, „დღემდე მოქმედი", „უბადლო და განუმეორებელი" მიხეილ სააკაშვილი.

გუშინ 26 მაისი გახლდათ. საკუთარ არქივს გადავხედე და აღმოვაჩინე რომ წლების განმავლობაში, ამჟამად უკრაინაში გადახვეწილმა „ეროვნულმა" თუ „უკრაინელმა" მიშამ თანამემამულეებს თავის დროზე, ზუსტად ამ დღეს შემდეგი „დაპირებებითა და სიტყვებით" მიმართა: „გადავაქციოთ მესტია ევროპის ტურისტულ ცენტრად"; „რამდენიმე წელიწადში ახალ ქალაქ ლაზიკას ავაშენებთ"; „ბათუმში უფრო მეტი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროა ვიდრე მოსკოვში"; „ბათუმი უკვე ისე ავაშენეთ, რომ მაიამის და იბიცას დონეზეა".

ზემოთ მოყვანილი „მარგალიტების" შემდეგ ნება მომეცით ბოლო წლებში სააკაშვილის შესახებ ხალხში მოარული ანეკდოტების ე.წ. „რეიტინგი" შემოგთავაზებთ.

1. მიშას არასდროს არ აქვს განდიდების მანია, ის უბრალოდ ღმერთია;

2. „მარჯანიშვილზე" გაგონილი ფრაზა: – ფრთხილად მიშაში ფეხი არ ჩადგათ":

3. „დღეს, 17 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ „სახალხო პარტიის" კრებაზე სიტყვით გამოვიდა. ამის შემდეგ სააკაშვილი შეხვდა რუმინეთის პრეზიდენტს ტრაიან ბარესკუს, ესაუბრა პრემიერ მინისტრს ვიქტორ პონტას. ამის შემდეგ სიტყვით გამოვიდა რუმინეთის მთავრობის სხდომაზე „ვიქტორია პალასში" და რუმინეთის სენატში. ქვეყნის თავდაცვის მინისტრთან ერთად მოინახულა ადგილი, სადაც განთავსდება ნატოს საჰაერო თავდაცვის სისტემები. მოინახულა ქვეყნის 37 პრეფექტი (5 შვებულებაში იყო). ესტუმრა დედაქალაქის მერიას და გაეცნო მუნიციპალურ პროექტებს. ეწვია ბუქარესტის უნივერსიტეტს, სადაც ორ საათზე მეტ ხანს იმყოფებოდა, სანამ არ მიანიჭეს საპატიო დოქტორის ხარისხი.

გადაცურა დუნაი, ინტერვიუ მისცა ბუქარესტის სამ, ბულგარეთის ერთ ტელევიზიას და მერე უკან გადმოცურა. გადმოხტა პარაშუტით ბუქარესტის კულტურისა და დასვენების პარკში. დაესწრო საფეხბურთო კლუბი „სტიაუას" ვარჯიშს და მთავარ მწვთნელს მისცა საქმიანი რჩევები. ხელი ჩამოართვა 17 564 მოქალაქეს. მოიარა 7 პიცერია და გაეცნო ეროვნული სამზარეულოს მიღწევებს 11 სხვადასხვა რესტორანში. შეჭამა 62 ნაყინი. კიდევ უნდოდა დუნაის გადაცურვა, მაგრამ უთხრეს, გვიანია და დაკეტილიაო. ამის მერე წამოვიდა სახლში. იმავე დღეს, გვიან ღამით, თავის საგანგებო სხდომაზე რუმინეთის მთავრობამ 18 ოქტომბერი, ხუთშაბათი, დასვენების დღედ გამოაცხადა".







4. არჩევნებია ამერიკაში. ობამა მიშას დაურეკავს და დახმარებას სთხოვს, მაგრად ვაგებ და იქნებ მომაგებინო არჩევნებიო. მიშამ უპასუხა, არა გრცხვენია, დაგეხმარები აბა რას ვიზამო. გაუგზავნის საქართველოდან რჩეულ გამყალბებლებს თავისი ტელევიზიანად.

ერთ კვირაში ობამა ურეკავს მიშას:

– ყველაფერი კარგად მიდის, კონკურენტი თითქმის დამარცხებულია, ერთი ეგაა რომ რამდენიმე შტატში „ნაციონალები" ლიდერობენო.

5. მიშას ეუბნებიან:

– რუსები მოდიან, 10000-კაციანი დესანტი გადმოსხეს ფოთშიო.

– მაშ, გამომიტანეთ წითელი შარვალი, რათა ჯარისკაცებმა სისხლი არ დაინახონ თუ დავიჭრებიო.

მოგვიანებით:

– ბატონო პრეზიდენტო შევცდით, 10000 კი არა, 100000 კაცი გადმოსხესო.

– მაშინ წითელი კი არა ყავისფერი შარვალი გამომიტანეთო.

6. — აბა, ბავშვებო, ვინ მეტყვის რა განსხვავებაა ჩვენს პრეზიდენტსა და ცხონებულ რეიგანს შორის?

– რეიგანი, მასწ, დიდი ამერიკის პრეზიდენტი იყო, ჩვენი პრეზიდენტი კი პატარა საქართველოს პრეზიდენტია.

– კი-ი-ი-დო?

– რეიგანმა ქართული არ იცოდა, მასწ, მიხეილ სააკაშვილმა კი ქართულიც იცის და ინგლისურიც.

– კი-ი-ი-დო?

პაუზა. ამ დროს ბოლო მერხზე ნელ-ნელა იწევა პატარა ბიჭუნას ხელი.

– აბა, ბიჭო, მთელი წელიწადი ხმა რომ არ ამოგიღია, რას იტყვი?

– მასწ, რეიგანი ჯერ არტისტი იყო და მერე გახდა პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი კი ჯერ პრეზიდენტი გახდა და მერე გახდა არტისტი!

7. მასწავლებელი პატარა კახელს ეკითხება:

– აბა, მითხარი, რა ჰქვია რუსულად თაგვს?

– „მიშკა", მასწ.

– ვირთხას?

– ნაღდად, „მიხეილი" ერქმევა, მასწ.

8. ბუში, ბლერი და სააკაშვილი ხვდებიან ერთმანეთს.

ბუში ამოიღებს ვერცხლის პორტსიგარს, ზედ აწერია: – „შვილ ბუშს მამა ბუშისგან".

ბლერი ამოიღებს ოქროს პორტსიგარს წარწერით: – „ბლერს დედა დედოფლისაგან".

სააკაშვილი ამოიღებს პლატინის პორტსიგარს 5-კარატიანი ბრილიანტით, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს – „ასლან აბაშიძეს ლუჟკოვისაგან".

დასასრულს, ექსპრომტად, თავის დროზე ხალხში მოარულ კიდევ რამდენიმე „პოპულარულ" ანეკდოტსაც შემოგთავაზებთ:

თბილისელი ეკითხება ბათუმელს: მე რომ ჩოლოქის ხიდზე ვიდექი და „მიშა, მიშა"-ს ვყვიროდი, შენ მაგ დროს რას აკეთებდი?

ბათუმელი: მე ხიდის მეორე მხარეს ვიდექი, იარაღი მეჭირა და „ასლან, ასლანს" ვყვიროდი.

თბილისელი: მერე, ვერ მესროლე?

**სხვადასხვა ქართულ საიტებზე განსაკუთრებული პოპულარობით შემდეგი ანეკდოტი სარგებლობს:**

მიხეილ სააკაშვილი, ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი მიჯაჭვულ ამირანთან ადიან. ამირანი გორგასალს ეუბნება:

– გორგასალო, ძალიან გაგიმართლა, იმიტომ, რომ მეფე იყავი და დედაქალაქი დაარსე.

შემდეგ დავით აღმაშენებელს მიუბრუნდა:

– შენც მაგრად გაგიმართლა, დიდგორის ბრძოლა მოიგე და წმინდანად შეგრაცხეს.

შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილი თავისთან მოიხმო:

– შენ ყველაზე მაგრად გაგიმართლაო.

– რატომ? — ჰკითხა სააკაშვილმა.

– დაბმული რომ არ ვიყო...

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## აღმოჩენა, რომელიც დაგვიმალეს! ღმერთის სამყოფელი ზეცაში ეს რეალური ქალაქია

აღმოჩენა, რომელიც დაგვიმალეს! ღმერთის სამყოფელი ზეცაში ეს რეალური ქალაქია, რომელიც ნასა-ს **HUBBLE** ტელესკოპმა დააფიქსირა. თავდაპირველად გაჩნდა ეჭვი, რომ მათ იპოვეს ვარსკვლავი, თუმცა მისი სიკაშკაშისა და გამოსახულებების შემდეგ ეს ვარაუდი რეალობას მოკლებული აღმოჩნდა, ფოტოებზე არსებული გამოსახულებები საკმაოდ რთულ კონსტრუქციებს ასახავდა და მისი ბუნებრივად წარმოშობა შეუძლებელი იქნებოდა.

მეცნიერთა ჯგუფს ჰქონდათ მოსაზრება, რომ მათ ღმერთის სამყოფელი აღმოაჩინეს, რადგან ფაქტები საკმაოდ რეალური და დამაჯერებელი იყო. თუნდაც ის, რომ ქალაქი ზეცაში, რომელზეც ვსაუბრობთ, გალაქტიკის ცენტრშია და მთელი გალაქტიკა მის გარშემო ტრიალებს.

ინფორმაცია კი იმ დროისთვის საკმაოდ სახიფათო შეიძლებოდა ყოფილიყო და მას საერთაშორისო პანიკა გამოეწვია, ამიტომ მაშინდელმა ამერიკის პრეზიდენტმა, ბილ კლინტონმა და ნასა-ს წარმომადგენლებმა, რომელთა სახელებიც საზოგადოებისთვის ცნობილი არაა, გადაწყვიტეს, ინფორმაცია გასაიდუმლოებულად შეენახათ, მიუხედავად ამისა, ინფორმაციამ მაინც გაჟონა და მასზე გარკვეული დროის შემდეგ, მედიის წარმომდგენლები მსოფლიო მასშტაბით საუბრობდნენ, თუმცა ამ აღმოჩენაზე საუბარი მალევე შეწყდა.

ტელესკოპი **HUBBLE**, რომელიც $1.5 მილიარდი ღირებულების იყო და, ასევე, საკმაოდ კარგი გარჩევადობის, მოგვიანებით, საკმაოდ შოკისმომგვრელ ფოტოებს აგზავნის, სადაც მეცნიერების განცხადებით, აშკარად ჩანს ანგელოზები და ქალაქი, ინფორმაცია ამის თაობაზე ოფიციალური პირებისგან საჯაროდ არასდროს გაკეთებულა, ამიტომ არსებობდა ინფორმაციის სიცრუის ეჭვიც, თუმცა გარემოებები, რაც ამ აღმოჩენის გარშემო ტრიალებდა, მის სიცრუეს უარყოფს.

არსებობს მოსაზრება, რომ ნასა დღემდე აკვირდება „ღვთის სამყოფელს“, თუმცა ინფორმაცია კვლავ გასაიდუმლოებულია და მტკიცებულებაც თითქმის არ არსებობს, გარდა იმ ფოტოებისა, რომლებიც ინტერნეტში გავრცელდა.

ნასა-ში **Dr. Masson** ამბობდა: „მე არ ვარ განსაკუთრებით რელიგიური, მაგრამ ეს აღმოჩენა შეიძლება სწორედ ის იყოს, რაც თავად ღმერთს სურდა“.

ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ეს გარდაცვლილთა სულების ქალაქია.

***daijesti.pia.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რა უპირატესობა აქვს შიშველ ძილს

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ შიშველი ძილი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

**1. სასარგებლოა კანისთვის**

კანის უდიდესი ნაწილი, დღის განმავლობაში დაფარულია ტანსაცმლით, თუმცა მას სჭირდება ჰაერის ნაკადი, რადგანაც, როდესაც კანი სუნთქავს, მისი განახლების პროცესი უფრო ეფექტურად მიმდინარეობს. ღამით ეძლევა თავისუფლება თითოეულ უჯრედს, რაც კანის დაავადებების (განსაკუთრებით სოკოვანი დაავადებების) პროფილაქტიკაა.

**2. იმუნიტეტის გაძლიერება**

სამოსის გარეშე ძილისას, სხეულის უფრო დაბალი ტემპერატურა და კანზე კონტაქტი, სტრესის ჰორმონის, კორტიზოლის გამომუშავებას აქვეითებს, რაც დადებითად მოქმედებს ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე. გარდა ამისა, ამგვარი კონტაქტისას გამომუშავდება ჰორმონი ოქსიტოცინი, რომელიც არტერიული წნევის ნორმალიზაციასა და ჭრილობების შეხორცებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

**3. სასქესო სისტემის ორგანოების დაავადებების პროფილაქტიკა**

მამაკაცის რეპროდუქციული სისტემისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასქესო ორგანოები არ იყოს ტანსაცმლით შემჭიდროებული და ჩახურებული. საძინებელში გრილი ჰაერი და შიშველი ძილის ჩვევა, სასქესო დაავადებების პროფილაქტიკას უწყობს ხელს და აუმჯობესებს სპერმის ხარისხს.ქალებისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ამგვარი პირობები სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადებების, მაგალითად, რძიანას პროფილაქტიკისთვის. ბაქტერიები სწრაფად მრავლდება თბილ, ნესტიან და დახშულ გარემოში.

პიჟამოში ძილი ზრდის ცისტიტის განვითარების რისკს: პიჟამოს შარვალი აუცილებლად ყოველდღიურად უნდა გაირეცხოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაწლავის ბაქტერიები შეიძლება მოხვდეს ურეთრაში და გამოიწვიოს ცისტიტის მუდმივი რეციდივები.

**4. უფრო კარგი ძილი**

თეთრეული და ტანსაცმელი, რაც არ უნდა მოხერხებული იყოს, ძილის დროს აწვება კანს და აღიზიანებს მას. გრძელი საღამურები და ფართო პიჟამოები უნდა გავისწოროთ გვერდზე ყოველი გადაბრუნების შემდეგ.

**5. პარტნიორთან უფრო ჰარმონიული ურთიერთობა**

აღმოჩნდა, რომ ადამიანები, რომლებიც შიშველ ძილს ანიჭებდნენ უპირატესობას, გაცილებით ხშირად იყვნენ ურთიერთობებით კმაყოფილები და ბედნიერები.

***mkurnali.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## თეფში, რომელიც საკვებიდან ცხიმს გააქრობს

საკუთარი თუ არა, ახლობლების გამოცდილებით მაინც გეცოდინებათ, რა რთული და მტანჯველია დიეტა. რა თქმა უნდა, არსებობს დიეტები, რომლის წყალობითაც არ შიმშილობ, მაგრამ საყვარელ საკვებზე უარს ამბობ, ტანჯვაც სწორედ ესაა.

ტაილანდშიც იციან, რა მსხვერპლს მოითხოვს დიეტა, ამიტომ ჭარბწონიანობის პრობლემის გადასაჭრელად, ინოვაციური თეფში გამოიგონეს.

თეფშს წვრილი ნახვრეტები აქვს, კერძიდან დაახლოებით 7 მილიგრამ ცხიმს იწოვს, ანუ ცხიმი თქვენს ორგანიზმში კი არ ლაგდება ჭარბი წონის სახით, არამედ მას თეფში „ჭამს“. თანაც 7 მილიგრამი არც ისე ცოტაა, მთელი 30 კილოკალორიაა.

ჭურჭელს, სიტყვასიტყვით, „შთანმთქმელი თეფში“ ჰქვია. მართალია, ტაილანდელების ჭარბწონიანობის პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა, მაგრამ მისი შეძენა ამავე პრობლემით შეწუხებულ, სხვა ქვეყნებსაც შეეძლებათ.

***myjane.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## თუკი გარდაცვლილი ახლობელი დაგესიზმრათ — აი, რისი ნიშანია ეს...

გარდაცვლილი მეგობარი, ან ახლობელი სიზმარში ოდესმე გინახავთ? **Psychology Today**-ში დაბეჭდილი პატრიკ მაკნამარას სტატიაზე დაყრდნობით, ასეთ მოვლენებს რამდენიმე საერთო მახასიათებელი აქვს.

პირველ რიგში, ეს წასულის გარეგნობას ეხება. მეორე შემთხვევაში კი იგულისხმება ემოცია, რომელსაც ადამიანი სიზმრის ნახვის მომენტში გრძნობს.

„გარდაცვლილი ცდილობს, უთხრას მას:

„მე კარგად ვარ და ისევ თქვენთან ერთად ვარ“. ეს შეტყობინება გადაიცემა ტელეპატიურად და არა სიტყვიერად. ასეთი სიზმარი, როგორც წესი, ინტენსიური და გასაგებია. ძირითადად ადამიანი იღვიძებს გრძნობით, რომ ეს რეალობის ნაწილი იყო“.

ლაური მური მედიუმია. მისი თქმით, მასთან ხშირად მოდიან ადამიანები, რომლებმაც სიზმარში გარდაცვლილი ახლობლები ნახეს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ წასულებს რაღაც შეტყობინების დატოვება უნდოდათ. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ გარდაცვლილს უნდა რაღაცის თქმა: მაგალითად, რომ ის კარგად არის, ან თქვენს გაფრთხილებას ცდილობს. როცა წასულებზე ბევრს ფიქრობთ, ისინი თქვენთან სიზმარში „მოდიან“, მაგრამ არაფერს ამბობენ. ამავე დროს, გარდაცვლილი ახლობელი ბევრს არ ესიზმრება. შესაძლებელია, სიზმარი, უბრალოდ, არ გახსოვთ, ან ჯერ ამის დრო არ არის....

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ჰაერის ტემპერატურა საგანგაშო ნიშნულს აღწევს — 2016 წელი ყველაზე ცხელი იქნება

გაეროს განცხადებით, ჰაერის ტემპერატურა საგანგაშო ნიშნულს აღწევს.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2016 წელი ყველაზე ცხელ წლად არის მიჩნეული.

მეტეოროლოგიის მსოფლიო სააგენტოს წარმომადგენლის კლერ ნულისის განმარტებით, მაისი რიგით მეთორმეტე თვეა, რომელმაც ჰაერის ტემპერატურის უმაღლესი მაჩვენებლების მიხედვით, რეკორდი დაამყარა.

გაერო იმ ქვეყნებს, რომლებმაც პარიზში გამართულ კლიმატის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში მიღებულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს, შეთანხმების დაუყოვნებლივ იმპლემენტაციას სთხოვს. პარიზის კლიმატის შეთანხმების მიხედვით, ქვეყნებს მსოფლიო ტემპერატურის მატება 2 გრადუსი ცელსიუსის ქვემოთ უნდა შეენარჩუნებინათ.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მარწყვის მოყვარულებს კუჭის წყლულის არ უნდა შეეშინდეთ

ახლა ჯერ კიდევ ცოტა არ იყოს ძვირი ღირს მარწყვი, მაგრამ ნელ-ნელა იმედია, გაიაფდება და შეეცადეთ, რაციონში ეს პროდუქტი აუცილებლად დაამატოთ.

იტალიელი მეცნიერების განმარტებით, მარწყვი შესანიშნავი და უგემრიელესი პროფილაქტიკური საშუალებაა კუჭის წყლულისთვის.

კვლევის ავტორების თქმით, კუჭს ანტოციანები იცავს, ნივთიერება, რომლის წყალობითაც პროდუქტი ხასხასა წითელ ფერს იღებს. სწორედ ეს ნივთიერება ააქტიურებს კუჭში მოხვედრის შემდეგ ანტიოქსიდანტურ ფერმენტებს, რაც იცავს კიდეც მას სხვადასხვა პრობლემისგან. მათ შორის, კუჭის წყლულის გაჩენისგანაც.

ანტოციანების არანაკლებ მნიშვნელოვანი თვისებებია წნევის დაწევა, თვალების ჯანმრთელობის გაუმჯობესება, კიბოს გაჩენის აღკვეთა და ლიბიდოს გაზრდა.

***medkarta.com***

მაია იასეშვილი
599 94-64-58

# რა გველის მომავალ კვირაში?

## ასტროლოგიური პროგნოზი დავით ბუტიკაშვილისგან

„ალია“ აგრძელებს წინა კვირას, 20 მაისს დაწყებულ რუბრიკას.

ამჯერადაც, პროგნოზს ასტროლოგი **დავით ბუტიკაშვილი** გააკეთებს:

**— ბატონო დავით, რას გვამცნობენ ვარსკვლავები, რა ზოგადი ტენდენციებით ხასიათდება მომავალი კვირა ასტროლოგიური თვალსაზრისით?**

– საკმაოდ რთული კვირა გველოდება, კვირის დასაწყისი, ზოგადად, კრიტიკული იქნება, ზოდიაქოს ყველა ნიშანი უნდა ეცადოს, რომ თავისი საქმიანობის სფეროში არავისზე არ იყოს დამოკიდებული და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. საკმაოდ რთული კვირა იქნება საბანკო სექტორისთვის, თავი შეიკავეთ ბანკიდან ვალების აღებისგან. თუ მაინცდამაინც აუცილებლობით არის გამოწვეული, სესხი კვირის ბოლოსთვის აიღეთ, შედარებით სტაბილურია ვალის ასაღებად. ფინანსური და მატერიალური მდგომარეობის გამო ხალხში აგრესია იმატებს, არ არის გამორიცხული საპროტესტო აქციები, რასაც ოპოზიციური პარტიები თავიანთი ბერკეტების გასამყარებლად გამოიყენებენ. მომავალ კვირაში მთვარე გაივლის ოპოზიციურ ასპექტს მარსთან. ეს აგრესიის პლანეტაა. ასევე, მთვარე გაივლის ოპოზიციურ ასპექტს სატურნთან. მთვარე ოპოზიციაში იქნება იუპიტერთან, ვარსკვლავთა ასეთი განლაგება და მდგომარეობა განაპირობებს კვირის სირთულესა და დაძაბულობას.

**— და ასეთი რთული სიტუაციებიდან გამოსავალი არის?**

– ასტროლოგიური ხედვით სამყაროში ცუდი არასოდეს არ ხდება, სამყარო ყოველთვის დინამიკაშია და ვითარდება, ადამიანთა დამოკიდებულება განაპირობებს, რამდენად პოზიტიურად ან ნეგატიურად გამოვლინდება სამყაროში მიმდინარე პროცესები, როგორც ცალკე ადამიანის ცხოვრებაზე, ასევე საზოგადოებაზე. მომავალი კვირის განმავლობაში ადამიანებს ნაკლებად უნდა ჰქონდეთ სხვისი დახმარების, ან სხვისგან ხელშეწყობის მიზეზი, დამოუკიდებლად ყველაფერს უკეთესად გაართმევენ თავს, თუ საკუთარი რესურსებისა და ძალების რწმენით იმოქმედებენ. შესაბამისად, წარმატებულნი იქნებიან ისინი, ვინც დამოუკიდებლად განახორციელებენ თავიანთ საქმეებს. ასევე, მომავალ კვირას დავარქვათ სიფხიზლის კვირა. მომავალ კვირას კატეგორიულად ეკრძალებათ მომეტებული სმა, ალკოჰოლის ჭარბად მიღება, დათრობას შეიძლება მოჰყვეს სერიოზული პრობლემები.

**— მომავალი კვირაში პოლიტიკური სიტუაცია როგორი იქნება, რამე მნიშვნელოვანი მოხდება?**

– რადგან წინასაარჩევნო პერიოდია და ვნებათაღელვა მატულობს, შეიძლება ითქვას, რომ იქნება ურთულესი ურთიერთკრიტიკა სხვადასხვა პარტიების მხრიდან, ძირითადად, ფინანსურ საკითხებში. ამას დაეხმარება ისიც, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი კრიტიკულად იქნება განწყობილი არსებული ეკონომიური მდგომარეობის გამო. არ არის გამორიცხული საპროტესტო აქციები ქუჩაში გამოსვლით, რასაც ზოგიერთი პარტია თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. უარყოფითი მუხტი სტუდენტებისგან კვლავ იქნება, მოსალოდნელია ზოგიერთ რაიონში კვლავ გამწვავდეს რელიგიური დაპირისპირება. ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც მოსახლეობას რაიმეს შეჰპირდნენ და დანაპირები არ შეასრულეს, მოსახლეობის კრიტიკა და პროტესტი ძირითადად ამ ძალებისკენ იქნება მიმართული.

**— ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და რის ცოდნა და გათვალისწინება მართებს ადამიანებს?**

– მომავალი კვირა სამკურნალო პროცედურებისთვის ოპტიმალურია, მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს კუჭ-ნაწლავის სისტემას, გაზრდილი იქნება მოწამვლის ალბათობა, ამიტომაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ პროდუქციის ხარისხს და ყველასთვის სასურველია დიეტის დაცვა. მოსალოდნელია ნევროზულ დაავადებათა გამწვავება და მისგან გამოწვეული უძილობა, გადაღლა, გაზრდილი იქნება ყელის და საყლაპავი სისტემით გამოწვეული დაავადებების ალბათობა. იკრძალება ჭარბი კვება და ალკოჰოლის არაზომიერად მიღება. მომავალ კვირაში არ არის მიზანშეწონილი პლასტიკური ოპერაციები.

**— გარეგნობაზე ზრუნვის მხრივ რა არის რეკომენდებული?**

– 30 მაისს არ არის მიზანშეწონილი კოსმეტოლოგიური პროცედურები და იმიჯის შეცვლისადმი სხვა პროცედურები, მაგალითად, თმის ფერის შეცვლა, ან ფორმის შეცვლა. სამაგიეროდ, 31 მაისი და 1-ლი ივლისი საუკეთესო დღეებია კოსმეტოლოგიური პროცედურებისა და სტილისტთან ვიზიტისთვის, ხოლო აქსესუარებისა და პარფიუმერიის ყიდვა ძალიან კარგია 4-5 ივნისს. რაიმეს შეძენისა და გაყიდვისთვის ეს კვირა სასიკეთოა თხის რქებისა და მშვილდოსნებისთვის, დანარჩენი ზოდიაქოს ნიშნებისთვის – საშუალო. მომავალ კვირაში სასურველია, ტანსაცმელში დომინირებდეს მწვანე ან ვარდისფერი, სამკაულებიდან კი სასურველია, გვეკეთოს ბეჭდები.

**— რას ურჩევთ იმ ადამიანებს, ვინც რაიმე ბიზნესის წამოწყებას აპირებს, ან ცხოვრებისეულ ცვლილებებს გეგმავს?**

– უპირველესი ზოგადი რჩევა ზოდიაქოს ყველა ნიშნისთვის, თუ მზად არის დამოუკიდებლად იმოქმედოს და პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე, კარგი პერიოდია. თუ პარტნიორებთან ერლია, დრო არ დაკარგონ და შესაბამისად, არ მიიღებენ ნეგატიურ შედეგებს.

**— რას ურჩევენ ვარსკვლავები მომავალ კვირაში იმ ადამიანებს, ვინც ქორწინება დაგეგმეს, ან რომანტიკული ურთიერთობებისას რისი გათვალისწინება მართებთ?**

– მომავალ კვირას ნურაფერს შეჰპირდებით საყვარელ ადამიანებს, შესაძლოა, ისე წარიმართოს ურთიერთობები, რომ დანაპირების შესრულება ვერ შეძლოთ. ქორწინების დარეგისტრირებისა და ოჯახის შექმნისთვის მომავალ კვირაში სასიკეთო დღეებია ხუთშაბათი და პარასკევი.

**— მოგზაურობის მოყვარულებს რას ურჩევთ?**

– 31 მაისი და 1-ლი ივნისი მომავალ კვირაში საუკეთესო დღეებია მოგზაურობისთვის.

**— მომავალ კვირაში როგორი იქნება ადამიანთა ინტუიცია და უნდა მივაქციოთ თუ არა ყურადღება სიზმრებს?**

– 30 მაისს ინტუიციამ ადამიანები შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს, ისინიც კი, ვისაც ჰგონია, რომ საუკეთესო ინტუიციით გამოირჩევიან. 31 მაისს და 1-ელ ივნისს კარგი იქნება, თუკი ადამიანები მიენდობიან თავიანთ პირველ შთაბეჭდილებებს ნებისმიერ საქმესა და ნებისმიერ გარემოებაში. ეს ეხება ზოდიაქოს თითქმის ყველა ნიშანს. 2 და 3 ივნისს ადამიანების ინტუიცია შეუმცდარად იმუშავებს ფინანსურ სფეროში, 4-5 ივნისს ინტუიცია ადამიანებს უტყუარად უკარნახებს, როგორ უნდა გამოიყენონ წარმატებების მისაღწევად ინფორმაცია, რომელსაც ფლობდნენ და კავშირები, რომლებიც მათ ცხოვრებაში არსებობს. რაც შეეხება სიზმრებს, ინფორმაცია სიზმრების სახით მოვა ლომებთან, ქალწულებთან და სასწორებთან, სიზმრების დაჯერებასა და გაანალიზებას არ ვურჩევთ ვერძებს, კუროებსა და ტყუპებს.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1.მხ/ფ „ნათლია“ დონ ვიტო ...
2.ჟურ-ნალისტი ლილი ...
3.მან ააღორძინა ოლიმპ. თამაშები
4. ტრაგედიის მუზა
5. კარგად მოარული ცხენი
6. „... და მშვიდობა“
7. ქალის პატარა ხელჩანთა
8.ჩან-თოსანი ცხოველი სამხ. ამერიკაში
9. მსახიობი ჟან-პოლ ...
10.საგა-ლობელი ...-მარია
11.ბრა-ზილიელი ფეხ-ბურთელი
12. ეგვიპტის დედაქა-ლაქი
13.კომ-პოზიტორი ენიო ...
14.ეკ-ვადორის დედაქა-ლაქი
15. მეხისგან დამცავი ძელი
16.ძვ. სამეჯ-ლისო ცეკვა
17.გადა-საღობად გადებული ლატანი
18. ნამუსი
19. მხედართ-მთავარი
20. ვერნი. „საიდუმ-ლო ...“
21. იაპონური თეატრი
22.მოწაფე წითელი ყელსა-ხვევით
23. დარაჯი
24. გეიშა მონაფე
25. მსახიო-ბების შერჩევა
26.დრა-მატურგი ... როსტანი
27. თეატრის ყველა სავე-ტაკლი
28.ვენე-სუელას დედაქა-ლაქი
29. ... შვარცე-ნეგერი
30. იგავი „კატა“ და ...
31. ბერძნ. ანბანის ასო
32. ყვავილი
33.რაჯ. კაპური ფილმში
34. რაჯას მეუღლის ტიტული
35. ზამთრის თვე
36. მსახიობი ჯესიკა ...
37.ამე-რიკელების მეტსა-ხელი
38. მსახიობი მერილინ ...
39. ქალაქი ესტო-ნეთში
40. სპორტ. ინვენტარ. ფირმა
41. საოპერო პარტია
42. შიიზმის მიმდევარი
43. მხოლოდ ტანის ქანდაკება
44. ნახატი კედელზე
45.თმების გასაშრობი ხელსაწყო
46. მსახიობი ... ჰილი
47.მეგი-ოლინე ლიანა ...
48.კომ-პიუტერული ფირმა თბილისში
49. ქალაქი ესპანეთში
50. გიორგი სააკაძის ვაჟი
51. ... დასთეს, იმას მოიმკი
52. სოხუმის ანტიკ. სახელწ.
53. თვითნას-ნავლი მხატვრობა
54. ლრმული წყნარ ოკეანეში
55.სარ-ფუოლებს შორის ასასვ-ლელი
56. ძაღლის ჯიში
57. ფუტკრების სახლი
58. „ოტელო“ პერსო-ნაჟი
59. ტროას ბერძნ. სახელწ.
60. მსახიობი პაჩინო
61. ახლო-მხედველი
62.მხ/ფ „... ზორბა“
63.პერო. „... მზეთუ-ნახავი“
64.მსახ. ... ვარდა-ლოსი
65. ათი დღე, ანუ ...
66. დანაკარგი, ანუ ...
67. დღე ხვალის შემდეგ
68.მოსა-პირკეთე-ბელი ქვა
69.ტელე-ახმა მოსკოვში
70.კოსტი-უმირე-ბული წვეულება
71. სასმელი ჯინი და ...
72. შვედეთის დედაქა-ლაქი
73.მისი დედაქა-ლაქია დამასკო
74. სითხის გადასა-დენი ხელსაწყო
75. ძიძა
76.არქი-პელაგი გიგანტ. კუებით
77. პირის ღრუს თაღი
78. სპილენძის დოქი
79. ფალიაშ-ვილის ოპერა
80. დროის საზომი მექანიზმი
81.მომ-ღერალი ... ვაიკულე
82. ყავის ჯიში
83. ოცკაპი-კიანი ძველად
84. მწერალი ტომას ... რიდი
85. საღეჭი რეზინი, ანუ ...
86. სასიმინდე
87.ვიო-ლინოების ოსტატი გვიდო ...
88. პატარა არხი
89. ჩეხური გაბამთ-ბობლის ფირმა
90. გამის ნოტი
91. ... პუგაჩოვა
92. სიმინდი ატტე-კურად
93. მწვადი ამერი-კულად
94.ძრავის ასამოქმ. მოწყობი-ლობა
95. ტბა პერუში
96. მდინარე საფრან-გეთში
97. სასულე ინსტრუ-მენტი
98. დანა, კოვზი, ...
99. სიმბო-ლიკა: ... და ურო
100. მდინარე აღმ. საქართ.
101. „მაუგლი“ პითონი
102. იაპონიის ძველი დედაქა-ლაქი
103. ოთარ იოსელიანის ფილმი
104. ქალაქი აფხა-ზეთში
105. ფეხმ-ძიმე, ანუ ...
106. მსახიობი დაიან ...
107. „... და ორმოცი ყაჩაღი“
108. რიცხვი 3,14
109. ... ფოიხტ-ვანგერი
110. ქალაქი გერმა-ნიაში
111. რუსული ფულის ერთეული
112. ... მოგივა დავითაო
113. ორი ათეული
114. უბედუ-რების სიგნალი
115. რევაზ ლაღიძის ოპერა
116. ...-დე-ჟანეირო

პერსონები: 1. ჯოზეფსონი; 2. ფოსტმეისტერი; 3. ჯენტლმენები; 4. ფილადელფია; 5. ოთტა; 6. ინა; 7. რესტიორები; 8. მალიკინი; 9. ბერლიოზი; 10. აეკე; 11. ეკეკ; 12. ყაითოა; 13. ფოსტალიონი; 14. ეროსი; 15. ტეხანიანი; 16. სარკალანდი; 17. ხარიბა; 18. სინდბადი; 19. სარდალი; 20. ეკონომიკოსები; 21. ნო; 22. ეთიოპია; 23. ყარაჯოლი; 24. ბეიერი; 25. ეიმენტი; 26. ეფლინი; 27. რესტორნები; 28. ჯონსონი; 29. ანტიალი; 30. ლოდი; 31. რო; 32. ია; 33. „ავიარ“; 34. ნავი; 35. ითენეფი; 36. ალეთა; 37. ილეი; 38. ბ ინგოა; 39. ნარეკი; 40. „ალიაბაი“; 41. ანია; 42. ბიიმი; 43. ტომი; 44. ვანო; 45. ფეხი; 46. ბეხი; 47. ინაკიძე; 48. „ალენ“; 49. ვალიალიალიალი; 50. ალეხი; 51. ბალენსია; 52. ალიალიალ; 53. ნიკი; 54. ბერეზოვსკი; 55. ეკეი; 56. ბარალი; 57. ლეა; 58. ალენტაფლიმა; 59. ალიალიალ; 60. ალიალ; 61. ბერეზოვსკი; 62. ბერეზოვსკი; 63. ბერეზოვსკი; 64. ნი; 65. ალენალი; 66. ბარალი; 67. ბენ; 68. ბარბერალალი; 69. ინტერნეტი; 70. ეარნეალალ; 71. ტრანზისტორი; 72. ალენ; 73. ალია; 74. ინტერფერენციალი; 75. ალენ; 76. ალენალ; 77. ალია; 78. ალენ; 79. „ალიანი“; 80. ალია; 81. ალიალ; 82. ბარალ; 83. ბერეზოვსკი; 84. ბეთ; 85. ეკეი; 86. ნალია; 87. ბეთ; 88. ბარალი; 89. ინტერნეტი; 90. ბე; 91. ალია; 92. ბიანა; 93. ბარბერალალი; 94. ტრანზისტორი; 95. ბერეზოვსკი; 96. ალია; 97. ალიალ; 98. ბერეზოვსკი; 99. ბერეზოვსკი; 100. ალიანი; 101. ალენ; 102. ალია; 103. „ბეიტალ“; 104. ბაგრატ; 105. ინტერნეტი; 106. ალენალ; 107. „ბეიტალ“; 108. ალ; 109. ალიალ; 110. ბარალალ; 111. ინტერნეტ; 112. ალე; 113. ალი; 114. ხალ; 115. „ალია“; 116. ალია. ინფორმაცია: ალიანალ ბეინი ალენალ ბეინი ალენალ ბეინი.

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო

## აშშ-ში შექსპირის პიესა შიშველმა მსახიობმა ქალებმა დადგეს

შიშველმა მსახიობმა ქალებმა უილიამ შექსპირის პიესაში – „ქარიშხალი“ ითამაშეს. პიესა ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში დაიდგა. მსახიობთა შორის არც ერთი მამაკაცი არ იყო, მამაკაცის ყველა როლს შიშველი ქალები თამაშობდნენ.

„ქარიშხალს“ 2 დღის განმავლობაში აჩვენებდნენ. რეჟისორების არჩევანი სწორედ ამ პიესაზე შემთხვევით არ შეჩერებულა – მასში ველური სამყაროსა და ცივილიზაციის ურთიერთობაა განხილული. ტანსაცმელზე უარის თქმა კი, დამდგმელი რეჟისორების განცხადებით, მნიშვნელოვანი სიუჟეტური ელემენტია.

*plus.kvira.ge*

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო

## ინდოელი წუთში ჩახუტების რაოდენობით გინესის რეკორდების წიგნში შევიდა

ასე არ სჯობს? არ სჯობს, ჩახუტების რაოდენობით ვეცადოთ რეკორდების დამყარებას, ვიდრე, მაგალითად, ცხვირში დანების შეტენით?

ინდოელი კრიშნა კუმარი სწორედ ჩახუტებით შევიდა გინესის რეკორდების წიგნში. მასთან ჩახუტების მიზნით, რიგში ადგილობრივი სკოლის 88 მოსწავლე ჩაეწერა.

ბავშვები რიგში იდგნენ და თავიანთ ჯერზე ჩასახუტებლად გარბოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კრიშნა 60 წამში 83 ბავშვს ჩაეხუტა, ექსპერტებმა მხოლოდ 79 ჩაუთვალეს. იმ ოთხთან კონტაქტი ჭიდაობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩახუტებასო. აღსანიშნავია, რომ კრიშნას ბავშვებისთვის ხელები ბოლომდე უნდა შემოეხვია, თანაც ახლო დისტანციიდან. თუმცა, 4 არჩათვლილი სითბო რა მოსატანია, როცა 79 ჩახუტებითაც რეკორდსმენია.

*rosbalt.ru*

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო

## ალკოჰოლიზმის დასამარცხებლად... თევზი

რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, თევზი საშუალებას იძლევა, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ უსიამოვნებას – ალკოჰოლიზმს დიდი წარმატებით შევებრძოლოთ. ამდენად, ვისაც სურს, რომ ალკოჰოლური სასმელების დალევის ლტოლვა მოიშოროს, ზღვის პროდუქტებით უნდა იკვებოს ან ადგეს და თევზის ქონი მიიღოს ხოლმე.

პროდუქტის ამ მორიგი გასაოცარი თვისების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ფსიქიატრებმა შეამოწმეს, შეუძლია თუ არა თევზს ბიპოლარული აშლილობების (აფექტი, მანიაკალიზმი, დეპრესია და ასე შემდეგ) მკურნალობაში რაიმე დადებითი როლი შეასრულოს.

შეგახსენებთ, რომ აქამდე თევზი გამოიყენებოდა ჭკუასუსტობის, აუტიზმისა და ფსიქიკის სხვა აშლილობების მკურნალობის პროცესში.

ახალი კვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ომეგა-3-ის ცხიმოვანი მჟავები ძალიან ეფექტური საშუალებაა ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საქმეში.

*tainamira.ru*

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო სინტერესო ამბები...

## უნიტაზიდან ამომძვრალი პითონი კაცს თავს დაესხა

შარი როდის საიდან ამოხტება, კაცმა არ იცის. რა დროა მოსული, კაცი მოსასაქმებლად ვერ შესულა ტუალეტში ისე, რომ არაფრის ეშინოდეს და ბიოლოგიური მოთხოვნილება მშვიდად დაიკმაყოფილოს.

ტაილანდის ქალაქ ჩაჩენგსაუში, ატაპორნ ბუნმაკჩი საკუთარი სახლის საპირფარეშოში ზედმეტი სითხისგან განთავისუფლებას აპირებდა, როცა მოულოდნელად, უნიტაზიდან 3-მეტრიანი გველი ამოუსრიალდა და თავდასხმა პირდაპირ სასქესო ორგანოზე განახორციელა.

ვაი, შენს პატრონს, ატყდა ერთი გნიასი და ცოლის საშველად მოხმობა, მაგრამ მარჯვე კაცმა თავად შეძლო თავდამსხმელისგან თავის დაღწევა, მეტიც, მტერი ტუალეტის კარის სახელურზე თოკით მიაბა, თვითონ კი საშველად მედიკოსებს მიმართა.

მსხვერპლს ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული, ამიტომ აუცილებელი გახდა სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია. პაციენტს სათანადოდ მიხედეს, ახლა საფრთხე არ ემუქრება და რეაბილიტაციის კურსს გადის.

კანალიზაციის მოყვარული რეპტილია კი ქალაქისგან შორს წაიყვანეს და ველურ ბუნებაში გაუშვეს.

ჯანდაცვის სამინისტრო ტაილანდელებს აფრთხილებს – სანამ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს ბრმად მიენდობიან, უნიტაზი მაინც წინასწარ გადაამოწმონ.

*rosbalt.ru*

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო სინტერესო ამბები...

## 19 წლის დედამ 6.8-კილოიანი ბავშვი გააჩინა

ნორმიდან გადახვევა და უჩვეულო შემთხვევები ვისლა უკვირს. როგორღაც ყველა მივეჩვიეთ. აგერ ახლახან არ იყო, გურიაში რომ ახლად დაბადებული 6 კილოს იწონიდა? მაგრამ ამ შემთხვევაში სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

19 წლის დედა, რომელმაც 6.8-კილოიანი ბავშვი გააჩინა, ინდოელია. გაგიკვირდებათ და მამაც ინდოელია, ანუ ბავშვს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, რომ ამდგარიყო და პირდაპირ გულივერად დაბადებულიყო. მოგეხსენებათ, ინდოელები გამხდრები და ხშირ შემთხვევაში დაბლები არიან.

ბავშვი, რაღა თქმა უნდა, საკეისრო კვეთით გაჩნდა. ამჟამად გოლიათიც და გოლიათის დედაც თავს კარგად გრძნობენ.

მიუხედავად ინდური სასწაულისა, დედა-შვილმა რეკორდი მაინც ვერ მოხსნეს. პირველ ადგილზე ჯერ კიდევ იტალიელი, 1995 წელს დაბადებული ბავშვია, რომელიც დაბადებისას 10.3 კილოგრამს იწონიდა.

ისეთი რეკორდია, გაუმჯობესება რომ არავის მოუნდება.

*rosbalt.ru*

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო სინტერესო ამბები...

## რობი უილიამსმა არ იცოდა, როგორ გამოიყურებოდა კიტრი

რობი უილიამსმა არ იცოდა, როგორ გამოიყურებოდა დაუჭრელი კიტრი. ამის შესახებ მუსიკოსის მეუღლემ – ამერიკელმა მსახიობმა აიდა ფილდმა ერთ-ერთი პოპულარული ტელეშოუს ეთერში განაცხადა.

„როდესაც მაცივრიდან ბოსტნეული გამოვიღე, ერთ-ერთმა მათგანმა რობი გააოცა. „ეს რა არის?“ – იკითხა რობიმ. ჩემი მეუღლე მიჩვეულია დაჭრილი ბოსტნეულის ნახვას“, – სიცილით განაცხადა აიდამ. მან ასევე აღნიშნა, რომ საყოფაცხოვრებო საკითხებში რობი უმწეო ბავშვივითაა.

„მას ნათურის გამოცვლაც არ შეუძლია. რობი 15 წლის ასაკში გახდა პოპულარული. ამ დროს ის მხოლოდ მუსიკით იყო გატაცებული. ამიტომ ბევრი რამ საყოფაცხოვრებო საკითხებში მან არ იცის“, – აღნიშნა მუსიკოსის მეუღლემ.

*plus.kvira.ge*

მიხო ბაღში ორმოს თხრის და ფულს მარხავს, მეზობელი ირონიულად ეუბნება.

– მიხო, რას აკეთებ? იძახიან, მალე ახალი ცხოვრება მოვა და ფული არ იქნებაო.

– არ იქნება და ნუ იქნება, სამაგიეროდ მე მექნება.

*****

– ოფიციანტ, ჩემს წვნიანში რაღაც დაცურავს!

– გეთაყვა, ეს წვნიანია და მასში ყოველთვის რაღაც დაცურავს. მაგალითად, მწვანილი, დაჭრილი ხახვი...

– კი მაგრამ, ეს რაღაც, სწრაფად დაცურავს და თანაც გულაღმა.

*****

ერთხელ ბებოს და შვილიშვილს აბები შეეშალათ. იმ დღეს შვილიშვილს ღამის კლუბში მისვლისთანავე ჩაეძინა, ბებომ კი ერთ ღამეში 10-მეტრიანი წინდა მოქსოვა ღიღინ-ღიღინით.

*****

– იდიოტი ხარ, კრეტინი და ბრუციანი, ჩვენ ახლა კატას გადავუარეთ, სად იყურებოდი?

– მართალი ხარ, ციცინო, იდიოტი ვარ, კრეტინიც, მაგრამ იქნებ საჭესთან ახლა მე დამსვა.

*****

შუახნის ქალბატონი ექიმის კაბინეტში შევიდა.

– გამარჯობა, ექიმო, პროფილაქტიკის მიზნით მოვედი. მინდა გაგესინჯოთ და რას მირჩევდით?

– პირველ რიგში, კოსმეტოლოგი გჭირდებათ.

– მართალია, ექიმო, კოსმეტიკაში ბევრ ფულს ვხარჯავ.

– მეორე, დიეტოლოგია საჭირო.

– კი, ექიმო, ცოტა გავსუქდი.

– მესამე, თვალის ექიმი გჭირდებათ.

– რატომ, ექიმო?

– იმიტომ, რომ კარზე დიდი ასოებით აწერია „ვეტერინარი“ და არა უბნის ექიმი.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

გვერდი მოამზადა **დარინა ძამადაძემ** 593 19-85-99

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მოახლეს 4 მილიონი დოლარი უანდერძა

სინგაპურელმა ექიმმა თავის მოახლეს, 47 წლის ფილიპინელს 6 მილიონი სინგაპურული დოლარი, 4 მილიონ აშშ დოლარზე მეტი უანდერძა.

იქაურმა მედიამ გაარკვია, რომ მოახლე ექიმთან უკვე 20 წელი მუშაობდა და სამშობლოში დატოვებულ ოჯახს ასე ეხმარებოდა. მოახლე იმასაც ამბობს, რომ პატრონთან ისეთი ურთიერთობა ჰქონდა, მათ შორის დამალული არაფერი ყოფილა.

– როცა მან მითხრა, რომ ასეთ დიდ მემკვიდრეობას მიტოვებდა, არც გამკვირვებია, – აღიარებს ფილიპინელი მოახლე.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, სინგაპურში დაახლოებით 200 ათასი მოახლე მუშაობს, რომლებიც იქ ფილიპინებიდან და ინდონეზიიდან ჩადიან. მათი საშუალო ხელფასი თვეში 700 აშშ დოლარია.

*newsland.ru*

## ქაღალდის გაზეთები 2040 წლისთვის არსებობას შეწყვეტსო

ფაქტია, ბევრი ოცნებობს, რომ გაზეთი საერთოდაც არ არსებობდეს და უფრო გემრიელად იპარპაშოს, მაგრამ ვერ მოგართვით, არ გამოგივათ ამ სანუკვარი ოცნების ასრულება!

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დირექტორს ფრენსის ჰარის თუ დავუჯერებთ, სულ მალე წლისთვის ტრადიციული ქაღალდის გაზეთები არსებობას მთელ მსოფლიოში შეწყვეტს.

მისი ეს მოსაზრება კვლევების შედეგებს ეფუძნება, რომელთა თანახმადაც, გაზეთების ქაღალდზე ბეჭდვა 2040 წლისთვის შეჩერდება, ამერიკაში კი ეს 2017 წლამდე მოხდება.

ფრენსის ჰარი განმარტავს, რომ საუბარია გარდაუვალ ევოლუციაზე, რომელიც ქაღალდის გაზეთებს ელექტრონული გაზეთებით ჩაანაცვლებს.

– ეს არც კარგია და არც ცუდი, ეს ევოლუციაა, – ამბობს ფრენსის ჰარი.

საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად მას ის არგუმენტიც მოაქვს, რომ დღეისთვის ამერიკაში ელექტრონული წიგნები გაცილებით მაღალი მოთხოვნით სარგებლობს, ვიდრე ტრადიციული, ზოგიერთ ქალაქში კი ბიბლიოთეკების რიცხვიც მნიშვნელოვნად მცირდება.

რამდენად გამართლდება ეს პროგნოზი, რამის მტკიცება ნამდვილად გაგვიჭირდება, თუმცა ფაქტია, რომ, თუკი მართლაც ასე მოხდა, პრობლემები აუცილებლად თავზე საყრელი იქნება. თავად ფრენსის ჰარიც აღიარებს, რომ ერთ-ერთი მოსალოდნელი პრობლემა ნაშრომების ავტორთა ანაზღაურება იქნება, რადგან გამომცემლები ბეჭდვითი მასალების გავრცელებით შემოსავალს ველარ მიიღებენ.

*etnographia.ru*

## მეცნიერებმა სიკვდილის მოლეკულა აღმოაჩინეს

20 წელი დასჭირდათ უპსალის უნივერსიტეტის (შვედეთი) სპეციალისტებს, რომ აღმოეჩინათ მოლეკულა, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე უშუალო გავლენას ახდენს.

კვლევებმა აჩვენა, რომ, თუკი მოლეკულის შემადგენლობა მოიმატებს, სიკვდილი 10 წლის მანძილზე აუცილებლად დადგება. უმრავლეს შემთხვევაში, გარდაცვალების მიზეზი გულისა და ონკოპათოლოგიების დაავადებებთან იყო დაკავშირებული. ანუ მოლეკულის არსებობა სიკვდილის მოახლოების ერთგვარი სიგნალია.

საუბარია კატეპსინ ცეზე, ცილაზე, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი „სიტიესეს“ გენის გავლენით გამოიმუშავებს.

მეცნიერებმა ამ ფენომენის რამდენიმე ვერსია წამოაყენეს. მაგალითად, კატეპსინ ცე უშუალო მონაწილეობს უჯრედების სიკვდილის დაპროგრამებაში. ანუ, თუკი ის სისხლში ხვდება, საიქიოსკენ მიმავალ გზაზე მწვანე შუქი ინთება. კიდევ ერთი თეორიის თანახმად, კატეპსინ ცე გულისა და ონკოლოგიურ დაავადებებს უკავშირდება.

ასეა თუ ისე, სიკვდილის მოლეკულის აღმოჩენა მეცნიერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან არ არის გამორიცხული, მისი დახმარებით შეიქმნას ნივთიერება, რომელიც კატეპსინ ცეს დაამარცხებს და შესაბამისად, ადამიანის გარდაცვალებასაც დიდი ხნით გადაავადებს.

*obozrevatel.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**27 მაისი:** მაქსიმალურად შეეცადეთ, ეს დღე ნებისმიერი სახის მოვლენისგან მოშორებით გაატაროთ. პროცესებში მოგვიანებით ჩაერთვებით.

**კურო 22.04-21.05**
**27 მაისი:** თქვენი პროფესიონალური აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ არ გადაიტვირთოთ და ჯანმრთელობის პრობლემები არ შეიქმნათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**27 მაისი:** ჯერ დარწმუნდით, რომ თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შანსს არ უშვებთ ხელიდან და მოქმედება მერე დაიწყეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**27 მაისი:** რაც არ უნდა ხდებოდეს, ყველაფერი იღონეთ, რომ თქვენი სისუსტეები ვერავინ შეამჩნიოს. ამით ვიღაც უსინდისოდ ისარგებლებს.

**ლომი 23.07-22.08**
**27 მაისი:** შეიძლება ძალიან ცნობისმოყვარე აღმოჩნდეთ. ეს ჟინი უმტკივნეულოდ დაიკმაყოფილეთ, თორემ, თუ ვინმეს აჰყვებით და ჭორაობას დაიწყებთ, მტრებს გაიჩენთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**27 მაისი:** ძალიან საინტერესო, აღმაფრთოვანებელი საღამო გელით. ამისთვის წინასწარ მოემზადეთ, მაგრამ ფრთხილად იყავით, ინტრიგებში არ ჩაგითრიონ.

**სასწორი 23.09-22.10**
**27 მაისი:** არ დაგავიწყდეთ, რომ გალიაში გამოკეტილი მხეცი არ ხართ და რაც არ უნდა გიჩიჩინონ, უსიამოვნო სიტუაციას ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, მოშორდეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**27 მაისი:** თქვენი აზრი გადამწყვეტი არ იქნება, ამიტომ, თუ მაინცდამაინც საკუთარი აზრის გატანა გსურთ, შესაბამისი დრო შეარჩიეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**27 მაისი:** ვალდებული არავინაა, თქვენი შეცდომები გამოასწოროს, ამიტომ, თუკი დღეს რამე მარცხს განიცდით, საკუთარ თავს დააბრალეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**27 მაისი:** შესაძლოა, შემთხვევითობებმა კარგად დალაგებული გეგმები აგირიოთ. თავი წინასწარ დაიზღვიეთ, რომ ყველაფერმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს.

**მერწყული 20.01-18.02**
**27 მაისი:** თუ საყიდლებზე სიარული გიყვართ, ვინმე გაიყოლეთ, რადგან დიდია ალბათობა, თავი ვერ გააკონტროლოთ და არასასურველი ხარჯები გასწიოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**27 მაისი:** თქვენი მრავალფეროვანი ღირსებების საუკეთესოდ წარმოჩენის შესაძლებლობა მოგეცემათ. დასანანი იქნება, თუკი ამ შანსს არ გამოიყენებთ.


## გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)


## დაზიანებული სისხლძარღვების აღდგენაში კაკაო დაგეხმარებათ

ამერიკელი მეცნიერების მიერ ახლად ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კაკაოს ფლავანოლები უაღრესად დადებით გავლენას ახდენს ადამიანებზე, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ.

კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ კაკაოს ყოველდღიურ მიღებას შეუძლია, როგორც მინიმუმ, ორჯერ მაინც გაზარდოს ცირკულირებადი ანგიოგენური უჯრედების რაოდენობა, რასაც, თავის მხრივ, სისხლძარღვების აღდგენის პროცესის დაჩქარება მოჰყვება.

სპეციალისტების რეკომენდაცია ასეთია: მიიღეთ დღეში მინიმუმ ერთი ჭიქა კაკაო და ამით საკმაოდ სერიოზული პრობლემების მოგვარება შეძლებთ.

*myjane.ru*

## პენტაგონი მულტიფუნქციური ქვედა საცვლების შექმნას აპირებს

საუბარია არა კონკრეტულად ტრუსებზე, როგორც ეს თავდაპირველად გვეგონა, არამედ სპეციალურ კოსტიუმზე, რომელსაც ჯარისკაცები უნიფორმის შიგნიდან ჩაიცვამენ და რომელიც გააკონტროლებს მათ ჯანმრთელობას, განკურნავს ტრავმებს(!) და მოახდენს სხეულის ენერგიის აკუმულირებას.

იდეის ავტორების მთავარი მიზანია, შეიქმნას სამოსი, რომელიც ჯარისკაცებისთვის არა მხოლოდ კომფორტული იქნება, არამედ მათზე სხვა ძალიან ბევრ დადებით გავლენასაც მოახდენს.

წინასწარი გათვლებით, პირველ რიგში, სპეცსამოსი სამხედრო მოსამსახურის სუნთქვასა და გულისცემას გააკონტროლებს. გარდა ამისა, შეაგროვებს ჯარისკაცის მოძრაობისგან გამომუშავებულ ენერგიასაც, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ელექტრომოწყობილობას აამუშავებს. რაც შეეხება კოსტიუმის სამკურნალო თვისებებს, მან კუნთის ტრავმებს უნდა უწამლოს.

ჯერჯერობით ამერიკელების ამ ამბიციური პროექტის შესახებ სხვა უფრო ამომწურავი ინფორმაცია აღარ ვრცელდება.

*tainamira.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

– ძვირფასო, თუ შეგიძლია, მარილი მომაწოდო?

– რაოო? ეხლა შენ მაგით რისი თქმა გინდა, რომ მე გემოვნება არ მაქვს, რომ მე სადილის მომზადება არ ვიცი, რომ მე არაფერში არ ვარგივარ? მორჩა, დღეიდან შენს თავს შენ თვითონ მიხედავ.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


გაზეთი „ალია“

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძუაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ○-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: ალექსიძის I კვარტალი 20-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.23